№ 98
(11 247)

11 – 14 დეკემბერი, 1998 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

რეიტინგი

# ფილას რჩეულები და ჩვენ

ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია (ფილა) ყოველწლიურად ადგენს რეიტინგს სპორტული სეზონის განმავლობაში თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ჩატარებული საერთაშორისო ასპარეზობების შედეგების მიხედვით.

**თავისუფალი ჭიდაობა**

წლეულს სამეულში ჩვენი ფალავნებიდან მოხვდა მხოლოდ ***ელდარ კურტანიძე*** (97 კგ), რომელსაც 27 ქულა აქვს. პირველ ადგილზე გავიდა პოლონელი გარნელოვიჩი, რომელმაც ელდარს 5 ქულით გაუსწრო, მესამეა ირანელი ჯაბიდი – 26. 69 კგ წონით კატეგორიაში პირველობს ჩვენი ყოფილი თანამემამულე, ამჟამად უკრაინელი ზაზა ზოზიროვი – 34, მეორეა რუსეთელი ალახვერდიევი – 28, მესამე – ***ემზარ ბედინეიშვილი*** – 25. ათეულში შევიდნენ დავით პოლოსიანი (58) – VI ადგილი და ალექსი მოდებაძე (მძიმე) – X. ***დანარჩენები:*** 21. გოჩა ჩიხრაძე (85), 30. ვალერი კოღუაშვილი (63), 39. გოჩა კირკიტაძე (54), 39. რევაზ მინდორაშვილი (76), 41. ნიკოლოზ ბეგაშვილი (85).




**ბერძნულ-რომაული ჭიდაობა**

***76 კგ:*** 1. აულიგა (თურქეთი) – 32 ქ., 2. ფიდერიგო (კუბა) – 29, 3. ***ხვიჩა ბიჩინაშვილი*** – 26. ***130 კგ:*** 1. კარელინი (რუსეთი) – 32, 2. ავსენიოკი (ისრაელი) – 32, 3. ***მირიან გიორგაძე*** – 28. ***დანარჩენები:*** 6. გიორგი ჯინჭველაშვილი და 9. ტარიელ მელელაშვილი (ორივე – 69 კგ), 9. აკაკი ჩაჩუა და 29. შმაგი გოქაძე (ორივე – 63), 10. ზაზა სილაგაძე (97), 12. ემზარ მახარაძე (85), 19. კობა გულიაშვილი (58), 31. ხვიჩა ქორიძე (მძიმე), 37. ვაჟა ომონიძე (54).

სააგენტო „ბუმათე“

# ნინო მაისურაძე ქართული ჭიდაობის სპონსორი!



ქართული სპორტის პრობლემების მოგვარება ამიერიდან შეიძლება დღემდე უცნობი და სრულიად ორიგინალური ფორმით წარიმართოს. საქართველოში მცხოვრებმა მაისურაძეთა დიდმა საგვარეულომ გადაწყვიტა დააფინანსოს საქართველოს აბსოლუტური ფალავნობა ქართულ ჭიდაობაში და საამისოდ 2000 ლარი გადასცა ეროვნულ ფედერაციას. როგორც ქართული ჭიდაობის ვეტერანმა სიმონ მაისურაძემ განაცხადა, ამ თანხით ლეგენდარული ქართველი ფალავნების სახელობის პრიზებსაც შეიძენენ და გაათამაშებენ. ასპარეზობა 19 დეკემბერს ჩატარდება დიღმის მასივის საჭიდაო კომპლექსში.

## წყალხტომა ჩვენში სპორტის სეზონურ სახეობად იქცა



დიახ, სწორედ ასეა, რადგან აუზები აღარ მუშაობს, „ლაგუნა-ვერეთი“ კი მხოლოდ ზაფხულის ცხელ დღეებში სარგებლობენ სპორტსმენები...

მაშ სად ემზადებიან და ვინ სწყალობთ ჩვენს მოხტუნავეებს? – იკითხავს მკითხველი. სპორტის წყალთა სახეობების ფედერაციაში (პრეზიდენტი ვლადიმერ გოიაშვილი) დღეს, რომ ქართული სპორტის სამაგალითო პატრიოტები არ იყვნენ, წყალში ხტომა, ჩვენში, კარგა ხნის ჩაძირული იქნებოდა სამუდამოდ. ფედერაცია განუწყვეტლივ ეძებს გზებს და საშუალებებს, რათა ტრადიციები და თაობათა მემკვიდრეობითობა შეინარჩუნოს. სადღეისოდ ჩვენი წამყვანი წყალმხტომელები მეტწილად უცხოეთში ვარჯიშობენ, შინ კი ძირითადად დარბაზში, აკრობატიკასა და ბატუტზე ხტომაში ხვეწენ ოსტატობას.

საქართველოს ნაკრების წევრები გოჩა გახარია აშშ-ში ემზადებოდა, ნანა ნებიერიძე – რუსეთში, ნანა ყაზარაშვილმა ტრავმა მიიღო და საერთოდ გაანება თავი სარბიელზე გამოსვლას.

– გოჩა და ნანა რომ არა, წყალხტომა უკვე ამოვარდნილი იქნებოდა ჩვენში დანერგილი სპორტის სახეობათა სიიდან. ისინი მომავალ თაობასაც აძლევენ კარგ მაგალითს, უმცროსები ხომ უფროსებისგანაც სწავლობენ, ამას განსაკუთრებული დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს სახეობაში – ამბობს ნაკრების უფროსი მწვრთნელი ალექსანდრე ბართაია.

ჩვენი მხრიდან დავძენთ, რომ ეს პირადად მისი და მისი ვაჟის ირაკლი ბართაიას დამსახურებაა, რომ საქართველოში სპორტის ამ სახეობას არსებობა გაუხანგრძლივდა.

ნიჭიერი მოზარდები მართლაც მონდინებით მიიწევენ მაღალი სპორტული მწვერვალებისკენ. ეს ამ დღეებშიც გამოვლინდა რუსეთის სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ ღია პირველობაზე, სადაც 14 წლამდე ასაკის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენლებიც მიიწვიეს. თბილისელმა ჭოლა ჭანტურიამ, რომელიც 9 წლისაა, თავის ასაკში ყველას აჯობა 5-მეტრიან კოშკურიდან და 3-მეტრიან ტრამპლინიდან ხტომაში, საერთოდ კი VIII ადგილზე გავიდა – უძლიერესთა შორის მოხვდა (მწვრთნელი ი. ბართაია). მეორე თბილისელმა, 12 წლის ვიტალი მამიაშვილმა, რომელიც მხოლოდ წელიწადნახევარია ეუფლება სპორტის ამ სახეობას, პირველად იასპარეზა ასეთი რანგის შეჯიბრებაში და კარგი შთაბეჭდილებაც დატოვა.

ჩვენს მოზარდებს მოსკოვში ამ ტურნირში მონაწილეობისათვის ფინანსური დახმარება გაუწიეს ფირმა „ფილიპსის“ პრეზიდენტმა საქართველოში თამაზ კორახაშვილმა და სააქციო საზოგადოება „სამგორის“ ვიცე-პრეზიდენტმა ოთარ ქიმშარეიშვილმა.

მ. ფუფუნავა

## ქართული ფეხბურთის ამბები

### ჯერ მხოლოდ რუმინელებმა ინამუსეს – მართალია დაგვიანებით, მაგრამ ვალს მაინც გვიბრუნებენ

გახსოვთ, ალბათ, 1996-ში, როცა ნაკრები გუნდები საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისათვის ემზადებოდნენ, საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ოთხი გასვლითი ამხანაგური მატჩი გამართა კვიპროსის, რუმინეთის, საბერძნეთის და ნორვეგიის კოლექტივებთან, იმ პირობით, რომ ისინი ორი წლის შემდეგ ვალს დაგვიბრუნებდნენ – საპასუხო ვიზიტით ეწვეოდნენ ჩვენს ქვეყანას. სამწუხაროდ, პარტნიორებმა სიტყვა გატეხეს და წლეულს არავინ შეგვეხმიანებია. და აი, გუშინ საქართველოს ეროვნული ნაკრების პრეს-ატაშე დათო ბერიაშვილი შეგვეხმიანა და სასიამოვნო ამბავი შეგვატყობინა: სფფ-ს ფაქსი მოუვიდა რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციიდან – გაზაფხულზე ორი ნაკრებით (ეროვნული და ახალგაზრდული) გეწვევითო, ჩვენმა მხარემაც თანხმობა გაუგზავნა.

მაშ ასე, ფეხბურთის ქართველი გულშემატკივრები „საქმეში“ ნაადრევად ჩაერთვებიან. თებერვლის მეორე ნახევარში საქართველოს თასის მეოთხედფინალური მატჩები გაიმართება, მერე ეროვნული ჩემპიონატიც განახლდება, 10 მარტს ჩვენს ნაკრებ გუნდებს რუმინელები, 20 მარტს კი უკრაინელები შეეჯიბრებიან, მერე, ერთი კვირის თავზე კი უკვე ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები დაიწყება, ჩვენ სლოვენიას ვმასპინძლობთ.

## ბავშვთა პროფესიული ლიგა მალე შეიქმნება

გუშინ საქართველოს სპორტის დეპარტამენტის სააქტო დარბაზში ხალხმრავლობა იყო – ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან, სფფ-ს მოწვევით, ჩამოვიდნენ ბავშვთა კლუბების პრეზიდენტები, სექციების ხელმძღვანელები, მწვრთნელები. მათ შეხვდნენ სფფ-ს ხელმძღვანელები, ბავშვთა ლიგის მომავალი პრეზიდენტობის კანდიდატი ლევან ყიფიანი. თათბირმა ჟურნალისტებისთვის დახურულ კარს მიღმა ჩაიარა.

## ჭოხონელიძის გამოცდილება ქართულ ფეხბურთს წაადგება?

შარშანწინ „ლელოში“ დაიბეჭდა წერილების სერია, რომელიც ეძღვნებოდა წარსულში ცნობილი ქართველი მცველის რევაზ ჭოხონელიძის საქმიანობას იტალიაში. მან დაამთავრა კოვერჩიანოს მწვრთნელთა სკოლა და მიიღო სერია „A“-ში მუშაობის ლიცენზია. ამჟამად ჭოხონელიძე ნაყოფიერად მოღვაწეობს სახელგანთქმულ „ინტერში“ მწვრთნელ-სელექციონერის თანამდებობაზე. სამწუხაროდ, აქამდე ვერ მოხერხდა აპენინის ნახევარკუნძულზე მომუშავე ჩვენი თანამემამულის გამოყენება ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ. სფფ-ს პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას განცხადებით, იგი აუცილებლად შეეცდება შეხვდეს ჭოხონელიძეს და დაამყაროს მასთან საქმიანი ურთიერთობა. არც ისაა გამორიცხული, რომ „იტალიელმა ქართველმა“ გაწვრთნას რომელიმე აქაური გუნდი.

ჭადრაკი | საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი

## ვაჟთა შეჯიბრებას ლიდერობს... ქალი

საქართველოს ვაჟთა საჭადრაკო ჩემპიონატი დასასრულს მიუახლოვდა.

მეექვსე ტურში წაგების შემდეგ კვლავ გამოასწორა მდგომარეობა ნინო ხურციძემ; ერთადერთმა დიდოსტატმა მონაწილეთა შორის. მან ზედიზედ ორი გამარჯვება იზეიმა, IX ტურში პარტია ყაიმით დაასრულა, X-ში კვლავ მოიგო და 10 ტურის შემდეგ 8,5 ქულით ერთპიროვნული ლიდერია. ხურციძეს ერთი ქულით ჩამორჩება ოსტატი გიორგი ბახტაძე.

ბოლო ტური დღეს გაიმართება



კალათბურთი • ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

ვერის ბაღში გრძელდება პირველი წრის გათამაშება

**VII ტური**

***შევარდენი – თსუ 81:84 (36:39). სტუ – დინამო.*** ელექტროენერგიის მიუწოდებლობის გამო მატჩი მეოთხე წუთზე შეწყდა. გადათამაშების თარიღს კალათბურთის ფედერაცია დაადგენს.

**სატურნირო ცხრილი**

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ | 5 | 5 | 0 | 4[illegible]:398 | 10 |
| აზოტი | 5 | 5 | 0 | 471:398 | 10 |
| თსუ | 6 | 4 | 2 | 533:496 | 10 |
| კოლხა | 7 | 1 | 6 | 541:652 | 8 |
| დინამო | 4 | 3 | 1 | 344:327 | 7 |
| შევარდენი | 5 | 2 | 3 | 410:423 | 7 |
| სდასუ | 5 | 1 | 4 | 386:424 | 6 |
| მაკაბი | 5 | 0 | 5 | 398:445 | 5 |

*მორიგი ტურის მატჩები გაიმართება 12-13 დეკემბერს.*

ბავშვთა პროფესიული საფეხბურთო ლიგის შექმნასთან დაკავშირებით „ლელოს“ დღევანდელ ნომერში გთავაზობთ ინტერვიუს სფფ-ს რეზერვების კომიტეტის უფროსთან ჯუმბერ თანანაშვილითან.

*იხ. მე-2 გვ.*

## საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსამსახურის ცნობა

*სპორტის დეპარტამენტში ჟურნალისტებთან ტრადიციული შეხვედრების მორიგ პრესკონფერენციაზე დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ თედორე გურგენიძემ ისაუბრა იმის შესახებ თუ რა უარყოფითი შედეგები შეიძლება მოჰყვეს საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში სპორტული ბაზების ნაჩქარევად შეტანის პრაქტიკას. „ჩვენ ვერ წავალთ ამ პროცესის წინააღმდეგ, იგი გარდუვალია, მაგრამ დღეს ხომ სპორტული ბაზების უმეტესობაში გაცილებით მეტი მოზარდი მეცადინეობს, ვიდრე ეს იყო საბჭოთა პერიოდში. ამიტომ არ უნდა ავჩქარდეთ, ბავშვებს ქუჩას ვერ შევატოვებთ“ – თქვა მან.*

*სამბოს ფედერაციის გენერალურმა მდივანმა თენგიზ არაბულმა ჟურნალისტებს აუწყა, რომ ამერიკის საელჩოში ვეტერან სამბისტებს ვიზებზე უარი უთხრეს, მიუხედავად იმისა, რომ შეჯიბრებაზე ოფიციალური მიწვევა ჰქონდათ. როგორც გაირკვა, საელჩო რამდენჯერმე გაუწბილებიათ ჩვენს სპორტულ დელეგაციებს სიებში უცხო პირთა შეყვანით, რის წინააღმდეგ და აღსაკვეთად უკვე გადამჭრელი ღონისძიებები გაატარა სპორტის დეპარტამენტმა. ამ თემაზე საუბარი მომავალშიც გაგრძელდება და უახლოეს პრესკონფერენციაზე კონკრეტულ ფედერაციებს და პიროვნებებსაც დაასახელებენ, ვინც ასეთი საზრახისი საქციელი ჩაიდინა.*

*ჟურნალისტებს ინფორმაციები მიაწოდეს აგრეთვე ჭადრაკის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა დავით გურგენიძემ, ქართული ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა იური იმერლიშვილმა, სხვა ფედერაციების თხოვნით კი ოპერატიული ინფორმაციები თვით პრესსამსახურმა გააცნო მასმედიის წარმომადგენლებს.*

*სააგენტო „ბუმათე“*

# SOS

## წვიმა და „აზოტი“

ქიმიკოსი არ გახლავართ და დანამდვილებით არ ვიცი რა გავლენას ახდენს წვიმა აზოტზე, მაგრამ რუსთავში ამ პროდუქციის მწარმოებელი საწარმოს სახელის მატარებელი სპორტული კლუბის კალათბურთელებს რომ წვიმა ძალიან ვნებს, დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა. სპორტკომპლექსი „აზოტი“, ცხადია, მხოლოდ კალათბურთელებს არ ემსახურება, მით უფრო დასანანია, რომ ეს სპორტული ობიექტი გაურემონტებელია. როცა სახურავიდან წყალი ჟონავს, მხოლოდ ჭერის საშიშროებაზე არაა ლაპარაკი, – იატაკიც გამოდის მწყობრიდან, სახიფათო ხდება. „აზოტის“ სპორტული კომპლექსის საკალათბურთო დარბაზის სახურავი ჯერჯერობით დაპირებებით „იკავებს თავს“, კომპლექსის დირექტორიც ხვალის იმედითაა. არადა, რუსთავს, დღეს ჩვენდა საამაყოდ, საქართველოში ერთ-ერთ საკალათბურთო ცენტრად ქცეულ ქალაქის და იქაურ კალათბურთელთა მფარველ „აზოტს“ ნამდვილად არ შეეფერება საქმის გაჭიანურება.

სააგენტო „ბუმათე“

## დებიუტი IX ადგილით აღინიშნა



საქართველოში სუმომ ახლა აიდგა ფეხი და უკვე მსოფლიო ჩემპიონატში, თანაც თვით ამ სახეობის სამშობლოში, იაპონიაში გადაწყვიტა მოესინჯა შესაძლებლობები. რიგით მეშვიდე ჩემპიონატი ტოკიოში გაიმართა და საკუთარი მაყურებლის თვალწინ მოასპარეზე მასპინძელთა რისხვას, ცხადია, ბევრი ვერ გადაურჩა. საერთო გუნდურ ჩათვლაში აშკარა უპირატესობით გაიმარჯვეს იაპონელებმა, მეორე ადგილზე გავიდა აშშ-ის, მესამეზე – სამხრეთ კორეის წარმომადგენლები.

საქართველოდან ოთხი ფალავანი გამოდიოდა – ლევან ჯაფარიძე, ალექსი დავითაშვილი, ჯონდო დაბრუნდაშვილი და გიორგი წმინდაშვილი. ოთხივე ათეულში მოხვდა, გუნდმა კი IX ადგილი დაიკავა. გაისად, თებერვალში, გერმანია ატარებს ღია პირველობას, სადაც მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე 10 უძლიერესი გუნდი მიიწვია საასპარეზოდ. ასე რომ, ჩვენებს, სულ მალე, კიდევ ერთ საერთაშორისო შეჯიბრებაში მოუწევთ გამოსვლა.


## ფირმა გთავაზობთ:

უცხოური წარმოების საბურავების დასაშლელ-ასაწყობ და ბალანსირების დანადგარებს, ფარების მარეგულირებელს, მანქანის კარებების მინების ელექტროამწევებს, ლუკებს, „MOMO“-ს ფირმის დისკებს სხვადასხვა მარკის ავტომობილებისთვის.

FAX. TEL: 23 00 96 2928 64 TEL. FAX.

ავტოსერვისის დანადგარების ექსკლუზიური იმპორტიორი. თბილისი, ჭავჭავაძის 49ა.


## გამორჩეულად ხსოვნა მასწავლებელი და მეცნიერი

სწორედ ასეთი იყო ბატონი ვასილ ელაშვილი, პროფესორი, საზოგადო მოღვაწე, მაღალპროფესიონალი მკვლევარი. საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში თეორიისა და მეთოდიკის კათედრაზე ამ კაცმა 40 წელიწადი იმუშავა, აქედან მრავალგზის აურჩევიათ მის გამგედ. გუშინ სწორედ ამ კათედრაზე შეიკრიბნენ ვ. ელაშვილის კოლეგები, ყოფილი სტუდენტები, ასპირანტები, მეგობრები, ოჯახის წევრები და პატივი მიაგეს მის ხსოვნას.

— ბატონი ვასილ ელაშვილი უნიკალური მოვლენა იყო არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ყოფილი სსრ კავშირის მთელს სამეცნიერო სამყაროში. მისმა გამოკვლევებმა სტიმული მისცეს სპორტის ხალხური სახეობების კვლევას, იგი მუდამ დარჩება თაობათა მასწავლებლად — თქვა ზემოხსენებული კათედრის გამგემ გიული კახიძემ.

## „XX საუკუნის სპორტული საქართველო“

ძვირფასო მკითხველო! „ლელოს“ რედაქციამ გადაწყვიტა შეადგინოს წიგნი „XX საუკუნის სპორტული საქართველო“, რომელშიაც მთელი 100 წლის განმავლობაში მიღწეულ სპორტულ შედეგებთან ერთად, შევა აგრეთვე საქართველოში სპორტის განვითარების ორგანიზაციული საკითხები, იმ ადამიანების ბიოგრაფიული ცნობები, რომლებიც ამ სფეროში სხვადასხვა უბანზე მოღვაწეობენ ან მოღვაწეობდნენ (მნიშვნელობა არა აქვს საქმიანობას და თანამდებობას).

შევსებული ანკეტა უნდა გამოიგზავნოს უშუალოდ რედაქციაში ან ჩაბარდეს სპორტის დეპარტამენტის რეგიონული მართვის სამმართველოში.

სახელი, გვარი ____________________

დაბ. წელი, რიცხვი ____________________

მოკლე ცნობები თქვენს მოღვაწეობაზე ____________________

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

თარიღი: __________ ხელმოწერა: ____________________

შენიშვნა: გარდაცვლილ პიროვნებებზე გამომგზავნი ანკეტაში დაბადების წელთან ერთად დეფიზით მიუთითებს გარდაცვალების წელს. მონაცემები უფრო ვრცლად შეიძლება წერილობით დაერთოს ანკეტას.

ფესვები

# ბავშვთა პროფესიული საფეხბურთო ლიგა – ქართული ფეხბურთის ბალავერი



**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალი ხელმძღვანელობა, ვიდრე ფედერაციის სათავეში მოვიდოდა, ხაზს უსვამდა არჩევნებისას იმას, რომ გამარჯვების შემთხვევაში მათი ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავი ბავშვთა ფეხბურთი იქნებოდა. კონკრეტულად კი საზოგადოებრიობას ძლიერი ბავშვთა პროფესიული საფეხბურთო ლიგის ჩამოყალიბებას ჰპირდებოდნენ.**

**მერაბ ჟორდანიამ იმარჯვა საპრეზიდენტო მარათონში და ისღა დარჩენია, გუშინდელი სიტყვა საქმედ აქციოს, ქართული ფეხბურთის ბალავერს – ბავშვთა ფეხბურთს მიხედოს, რომელიც მუდამ გამოირჩეოდა ნიჭიერი და პერსპექტიული მოზარდებით.**

**ჯუმბერ თანანაშვილი აქამდე სწორედ ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთს უძღვებოდა ფეხბურთის ფედერაციაში. პროფესიული საფეხბურთო ლიგა, ბუნებრივია, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენდება. ჰოდა, რისი ბატონ-პატრონები ვართ? რით ვეგებებით ახლებურ მოდელს ბავშვთა ფეხბურთის განვითარებისას – ბავშვთა ლიგას? ამ და სხვა საკითხებზე გვესაუბრება ჯუმბერ თანანაშვილი.**

— საქართველოში ნიჭიერი ბავშვები მუდამ იქნებიან, — ასე დაიწყო ჩვენთან საუბარი ბატონმა ჯუმბერმა, — მიუხედავად საერთო შეჭირვებისა, თბილისშიც და რეგიონებშიც ბავშვთა ფეხბურთში უამრავი შეჯიბრებები იმართება, რაიონული, საქალაქო თუ რესპუბლიკური მასშტაბისა. ახლაც, გივი ჩოხელის სახელობის თასის გათამაშება მიმდინარეობს, სადაც 32 გუნდი მონაწილეობს.

ამჟამად, ბავშვთა საფეხბურთო სკოლები 3 ზონადაა დაყოფილი. დასავლეთში ერთი, ხოლო აღმოსავლეთში ორი ზონაა — ცენტრალური და კახეთის ზონა. ამგვარი დაყოფა, ალბათ, დროებითია და ეს სკოლების სადღეისო გაჭირვებით არის გამოწვეული.

აჭარა-გურია ცალკე ატარებს ჩემპიონატს. იქ ბავშვთა ფეხბურთს ლერი ველურიძე ხელმძღვანელობს, იმერეთის რეგიონში — გურამ ფილიპაშვილი, რომელსაც გრიშა მიქაუტაძე ეხმარება. ქვემო ქართლის რეგიონიც ცალკეა, ხოლო თბილისში ტურნირებს, უშუალოდ, ფედერაციის აპარატი ატარებს. რეგიონებში გამარჯვებული გუნდები კი ფინალურ ეტაპზე იასპარეზებენ და ქვეყნის ჩემპიონის ვინაობას გაარკვევენ — ეს გაზაფხულზე იქნება.

● ***ბატონო ჯუმბერ, ბოლო წლებში ახალი მოედნები აღარ შენდება ბავშვებისათვის, რაც იყო, ისიც განადგურდა. ალბათ, ძალიან გიჭირთ...***

— რასაკვირველია, გვიჭირს. რაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დამოუკიდებელი გახდა, უამრავი საფეხბურთო კლუბი შეიქმნა, მომრავლდა ბავშვთა გუნდები, მოედნების რაოდენობა კი იგივე დარჩა, თუმცა, პირიქით, შემცირდა კიდეც, რაც შემორჩა, ბევრი გაპარტახებულია და აღსადგენი.

ერთადერთი ახალი მოედანი გაკეთდა დიღმის მასივში, საფეხბურთო სკოლა „ოლიმპიკის“ თავკაცთა ძალისხმევით, რომელსაც ყოფილი თბილისის დინამოელი კარლო მჭედლიძე თავკაცობს. სამწუხაროა, რომ ვაკეში წაგვართვეს ერთი მოედანი, სადაც მშენებლობა დაიწყეს.

მიუხედავად ამისა, მაინც ახერხებენ მწვრთნელები „მართვეების“ დაფრთიანებას ამ მოედნებზე, რაც მათი დიდი დამსახურებაა და ფეხბურთისა და პატარებისადმი ამ ხალხის უზომო სიყვარულით უნდა აიხსნას. ზოგ სკოლას ბურთები და საფეხბურთო ფორმაც კი არა აქვს.

● ***ვინმე თუ გეხმარებათ?***

— ფირმა „კოკა-კოლას“ ხელმძღვანელთა გარდა, არავინ, ძირითადად ბავშვთა მშობლებზე ვართ დამოკიდებული.

● ***როგორ გესახებათ ბავშვთა პროფესიული საფეხბურთო ლიგის ჩამოყალიბება?***

— ბავშვთა პროფესიული ლიგა აქამდეც უნდა ჩამოყალიბებულიყო. ეს მეტად საჭირო და საშური საქმეა. ადრე სახსრები არ იყო. კი, უნდა დაარსდეს, მაგრამ ჯერ საჭირო თანხა უნდა გამოიძებნოს, ისე, უსახსროდ ამ ლიგასაც გაუჭირდება.

● ***როგორ წარმოგიდგენიათ ბავშვთა პროფესიული საფეხბურთო ლიგა სტრუქტურულად?***

— წინასწარ ვერაფერს გეტყვით. ამაზე ფეხბურთის ფედერაცია იმსჯელებს. ეს საკითხიც, სავარაუდოდ, დეკემბერში გადაწყდება.

● ***რა პრინციპით უნდა შეირჩეს გუნდები ბავშვთა ლიგისთვის? რეგიონული პრინციპით ხომ არა?***

— დიახ, სწორედ რეგიონული პრინციპით შეირჩევა. ამ ეტაპზე, ალბათ, თბილისს ეყოლება 4 გუნდი, თითო გურიას, კახეთს, შიდა და ქვემო ქართლს. ორ-ორი გუნდით წარსდგებიან ლიგაში აჭარა, იმერეთი და სამეგრელო.

რაც შეეხება ამ რეგიონების წარმომადგენლებს, ის გუნდები შეირჩევა, რომელთაც ბოლო წლებში ვარჯიშისა და მომზადების პირობები ჰქონდათ ხეირიანი. ჰო, ვფიქრობ, ერთი გუნდი ფოთიდან უნდა იყოს, ფოთში ჩაისახა ქართული ფეხბურთი და სირცხვილიც არის, რომ მათ ერთი გუნდი არ ჰყავდეთ.

● ***ბატონო ჯუმბერ, მოგეხსენებათ, ჩვენს საფეხბურთო სკოლებში ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი გაიზარდა, მერე მათ დიდ კლუბებს მიაშურეს და მათმა აღმზრდელმა სკოლებმა კაპიკიც ვერ მიიღეს საკომპენსაციოდ. კარგა ხანია ასე გრძელდება. არადა, კონტრაქტი კლუბსა და მოზარდის მეურვეთა შორის, ყველაფერს დაარეგულირებდა, ორივე მხარე კმაყოფილი იქნებოდა.***

— ამ საკითხზე დიდი ხანია მუშაობენ, ნელ-ნელა იხვეწება იგი და მალე მიიღებს საბოლოო სახეს. საგანგაშო არაფერია — უფროსებში არ არის დახვეწილი საკონტრაქტო სისტემა და ბავშვებში, რა თქმა უნდა, უარესად არის საქმე. დრო და მონდომებაა საჭირო და ეს პრობლემაც მოგვარდება.

● ***ჩვენს ბავშვთა გუნდებს უჭირთ უცხოურ ტურნირებში მონაწილეობა. მიზეზი, რა თქმა უნდა, უფულობაა. კარგი იქნებოდა, თბილისში მოზარდთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის ჩატარება. ამაზე არ გიფიქრიათ?***

— იცოცხლეთ, კარგი იქნებოდა ასეთი ტურნირის ჩატარება, მით უმეტეს, თუ იგი ტრადიციულად იქცევა. ამაზე მიფიქრია და მიოცნებია, მაგრამ ყველაფერი ხომ დიდ თანხებთანაა დაკავშირებული? მჯერა, ამის დროც მოვა და ჩვენს ნორჩებსაც მალე მოუწევთ უცხოელ თანატოლთა მასპინძლობა.

1991 წელს განვიზრახეთ ამგვარი, საერთაშორისო ტურნირის ჩატარება, მაგრამ საშინაო ტურნირი გამოგვივიდოდა, მოწვეული უცხოელები არ ჩამოვიდოდნენ. მიზეზიც გასაგებია — მაშინ არეულობა და არასტაბილური სიტუაცია იყო საქართველოში.

● ***ამჟამად რომელ რეგიონში უჭირს და რომელში ულხინს ბავშვთა ფეხბურთს?***

— ყველაზე შეჭირვებული ბავშვთა სკოლები გურიაშია, იქ ისინი უმძიმეს პირობებში მუშაობენ. შედარებით ნორმალური მდგომარეობა თბილისშია. დედაქალაქში მართლა უსაზღვროდ პოპულარულია ბავშვთა ფეხბურთი.

● ***ფედერაციის ახალი ხელმძღვანელობა, კერძოდ, მერაბ ჟორდანია, პროფესიული საფეხბურთო ლიგის გარდა, თუ აპირებს ცვლილებებს ბავშვთა ფეხბურთში?***

— კონკრეტულად ვერ გეტყვით, მაგრამ ვიცი, რომ შემოგვთავაზებს პერსპექტიულ წინადადებებსა და იდეებს, რომლებიც სასიკეთოდ წაადგება ბავშვთა კლუბებსა და, მთლიანად, ქართულ ფეხბურთს.

დაბეჯითებით ვიტყვი, რომ ტალანტებით სავსეა საქართველო, ჩვენი საფეხბურთო სკოლები. ნეტა გენახათ, რა ენთუზიაზმითა და მონდომებით მუშაობენ მწვრთნელები, რა მონდომებულნი არიან თავად ბავშვები. მათ მხოლოდ ნორმალური პირობები უნდათ მომზადებისთვის და ტოლს არავის დაუდებენ.

გასაქანი უნდა მიეცეს ქართულ ფეხბურთს, რომელიც ბავშვთა ფეხბურთიდან იღებს სათავეს, ამ საშვილიშვილო საქმეში კი ყველა მხარში უნდა ამოგვიდგეს — ხელისუფლებაც და კერძო პირებიც, საერთო — საქვეყნო საქმე ყველამ ერთად უნდა ვაკეთოთ.

ესაუბრა
კახა ჭიაბრიშვილი

## სამბო 60 წლისაა

ქ. ქსკოვოში, რომელიც რუსეთში სამბოს ყველაზე სოლიდური ცენტრია და სპორტის ამ სახეობის აკადემიაცაა გახსნილი, გაიმართა სამბოს 60 წლისთავისადმი მიძღვნილი შეჯიბრება მსოფლიოსა და მსოფლიო თასის სამგზის მფლობელი აკადემიის ნაკრებ გუნდებს შორის. მსოფლიო ნაკრებში საქართველოდან გამოდიოდა ცნობილი ფალავანი ივანე გამხიტაშვილი (90 კგ). ასპარეზობა გაიმართა პრინციპით გუნდი — გუნდს! ცხადია, სამბისტებს თითო ორთაბრძოლა უნდა ჩაეტარებინათ. ივანე გამხიტაშვილს ძველ მეტოქესთან სერგეი ლაპავიკთან მოუხდა შერკინება და დამარცხდა 1:2.

ქსკოვოში მიწვეული იყო აგრეთვე საქართველოს ნაკრების მწვრთნელი მსაჯთა საერთაშორისო კოლეგიის წევრი „ოქროს სასტვენის“ მფლობელი ემილ რაში.

ინფორმაცია მოგვაწოდა საქართველოს სამბოს ფედერ... ის გენერალურმა მდივანმა თენგიზ არ... ულმა.


### იფრინეთ იმედიანად და იაფად!

ავიაკომპანია „ოქროს არწივი“ გთავაზობთ:

ავიარეისს მარშრუტით თბილისი — კიევი — ნიუ-იორკი (კენედის აეროპორტი) და უკან. ორივე მიმართულებით ბილეთის ფასია 590 აშშ დოლარის შესაბამისი ეროვნული ვალუტა.

დაწვრილებითი ცნობებისათვის დარეკეთ: 93-30-89.


## ჯანმრთელობის კუთხე



თერაპევტ ნინო აფაქიძის რედაქციით

### კოცნა ჯანმრთელობაა!

თურმე ხშირი და ვნებიანი კოცნა ადამიანის ჯანმრთელობაზე დადებითად მოქმედებს და სიცოცხლეს ახანგრძლივებს. შეყვარებულებმა ეს ოდითგან იციან, სწავლულები კი ახლა დაფიქრდნენ და ახსნაც გამოძებნეს. მონრეალის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა უტყუარად დაადასტურეს, რომ სასიყვარულო კოცნა სტრესისა და შეშფოთების ჰორმონების განვითარებას ამუხრუჭებს. კანადელი პრაქტიკოსი ექიმი კი უკვე თავიანთ პაციენტებს, განსაკუთრებით ჰიპერტონიითა და დიაბეტით დაავადებულებს ურჩევენ, რაც შეიძლება ხშირად იკოცნავონ.

გერმანელებმაც გამოიდეს თავი და ერთ-ერთ სამეცნიერო კონფერენციაზე წინადადება წამოაყენეს ავადმყოფობათა სინდრომები კოცნით დავძლიოთო. საფუძვლიანადაა დამტკიცებული, რომ კოცნა ტკივილის დამაყუჩებელიც ყოფილა, რასაც ჩვილი ბავშვების დედები ინსტინქტურად მიმართავენ ხოლმე. თურმე კოცნისაგან ნაოჭებიც სწორდება პირისახეზე და... ზედმეტი წონაც აკლდება ადამიანს. თავად განსაჯეთ, საჭირო აღარაა ზედმეტი დროის და სახსრების გაღება წონის დასაკლებად. დადასტურებულია, რომ ერთი კოცნისას 3,8 კილოკალორია იწვება და „საქმეში“ ჩართულია პირისახის 40 კუნთი.

ასე რომ...

# „ლელოს“ სამწლიანი ბრძოლა წარმატებით მთავრდება: „გუნდებისთვის ქულების დაკლების პრაქტიკა მცდარია და გასაუქმებელია“ — აცხადებს მერაბ ჟორდანია

პრესკონფერენცია

ასეა, როცა საკუთარი სიმართლისა და კომპეტენტურობისა გჯერა, ადრე თუ გვიან, შენი ღაღადი შედეგს გამოიღებს. ჟურნალისტებს რომ ბევრი · შეგვიძლია, არახალია. დასტურად არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება. აბა გავიხსენოთ, როგორი პოლემიკური საკითხები წამოუწევია თავის დროზე „ლელოს“ და ხშირად ყოველივე სპორტის სასარგებლოდ დამთავრებულა ხოლმე. თუნდაც 10 წლის წინათ, ფეხბურთში ეროვნული ჩემპიონატის გამართვა-არგამართვაზე ჩვენს გაზეთში წამოწყებული პოლემიკა ავიღოთ. სწორედ მან წარმოშვა დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთი. და აი, სულ ბოლო ამბავიც. მესამე წელია გავიძახით, რომ ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდებისათვის ქულების დაკლების პრაქტიკა მცდარია. დებულების ეს პუნქტი საშუალებას აძლევს ფედერაციას თავისი შეხედულებისამებრ არეგულიროს გუნდების სატურნირო მდგომარეობა. როგორც ეტყობა, „ლელოს“ არგუმენტებმა გაჭრა: ამ დღეებში ეროვნულ სტადიონზე გამართულ პრესკონფერენციაზე სფფ-ს გენერალური მდივნის თანაშემწემ მამუკა კვარაცხელიამ გვითხრა, რომ სფფ-ს ახალი ხელმძღვანელობა სავსებით იზიარებს ჩვენი გაზეთის პოზიციას წამოჭრილ საკითხზე, ხოლო ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ ოფიციალურად განაცხადა: „ქულების დაკლების პრაქტიკა მცდარია და უნდა გაუქმდეს. ყოველივე უახლოეს აღმასკომის სხდომაზე გადაწყდება“.

ახლა, პრესკონფერენციაზე თქმულ სხვა საკითხებსაც შევეხოთ. მერაბ ჟორდანია შვეიცარიიდან ახალდაბრუნებულია. იგი ევროპული ქვეყნების საფეხბურთო ფედერაციების პრეზიდენტთა კონგრესს ესწრებოდა. რაც მან გვითხრა, ზოგი რამ უკვე ვიცოდით უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოების მიერ გადმოცემული ცნობებიდან, ზოგიც ახლა გავიგეთ. მკითხველს ეცოდინება, რომ უეფამ თასების მფლობელთა თასის გათამაშება მომავალი წლიდან გააუქმა, ხოლო ჩემპიონთა ლიგა 32 გუნდამდე გაიზრდება. გაისად ევროტურნირებში საქართველოდან სამი გუნდი ითამაშეს, ვინაიდან ევროპულ ქვეყნებში 24-ე სარეიტინგო მაჩვენებელი გვაქვს. ჩემპიონთა ლიგაში მხოლოდ ჩვენი ქვეყნის [illegible]რველი გუნდი ჩაერთვება, ხოლო თასის მფლობელი და ჩემპიონატში მეორე ადგილზე გასული კლუბი, უეფას თასზე იასპარეზებს. ჟორდანიას განმარტებით, საქართველოს პირველი გუნდი ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობას, ტრადიციისამებრ, საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყებს, ოღონდ, ერთი განსხვავებით — ლიგაში მოხვედრამდე სამი მეტოქის ჩამოცილებაა საჭირო. ითქვა ისიც, რომ ამ გათამაშების ბიუჯეტი გაოთხმაგდა და ახლა 800 მილიონი შვეიცარიული ფრანკია. ასე რომ, ჩემპიონთა ლიგის მატჩები კიდევ უფრო მძაფრი და საინტერესო გახდება.

მოდით ახლა, შევეცადოთ და რაც ზემოთ ითქვა, ჩვენს შინაურ საქმეებს მივუსადაგოთ. გაისად ევროტურნირებზე სამი გუნდი გვეყოლება: ვთქვათ, ჩემპიონი ისევ თბილისის „დინამო“ გახდა, მეორე ადგილზე კი გავიდა ქუთაისის „ტორპედო“. იმავდროულად, თუ იმერთა კლუბი ფინალშიც მოხვდა, მაშინ საქართველოდან ევროტურნირებზე მესამე გუნდად სწორედ თასის ფინალისტი იქნება წარმოდგენილი. საერთოდ, ფეხბურთში პროგნოზები იცით, რაც არის... და მაინც, გუნდების პოტენციიდან გამომდინარე, ახლავე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საევროპო კოლექტივებად გაისად საქართველოს წარმოადგენენ თბილისის „დინამო“, ქუთაისის „ტორპედო“ და... ვინ იქნება ეს მესამე გუნდი, ძნელი სათქმელია — ბათუმის „დინამო“, თბილისის „ლოკომოტივი“, ფოთის „კოლხეთი-1913“ თუ?..

კვლავ პრესკონფერენციას დავუბრუნდეთ. მერაბ ჟორდანიას თქმით, ფაქტობრივად, დამთავრებულია მუშაობა სფფ-ს ახალ წესდებაზე და ამ დღეებში სათანადო ორგანოები რეგისტრაციაში გაატარებენ მას. დიდი განსჯის შედეგად შემუშავდა ახალი საშტატო განრიგი. ჩამოყალიბების პროცესშია 14 კომიტეტი, რომელთა ფუნქციონირებას თვალს მიადევნებენ აღმასკომის წევრები, ფედერაციის ძველი თანამშრომლებიდან, თურმე, მხოლოდ რამდენიმეს დატოვებენ. განსაკუთრებით გაუჭირდათ სამსაჯოსაინსპექტორო კომიტეტის დაკომპლექტება — სწორედ ეს უბანი მიაჩნია უმრავლესობას ფედერაციის აპარატის „აქილევსის ქუსლად“. გადაწყდა, რომ ხსენებულ კომიტეტს სათავეში ჩაუყენონ ცნობილი ვეტერანი მსაჯი, სოხუმელი ანატოლი მილჩენკო. იგი ამჟამად უკრაინაში, საქართველოს საელჩოში მოღვაწეობს და უმწიკვლო რეპუტაციით სარგებლობს. მილჩენკოსთან ერთად კომიტეტში იმუშავებენ გია ძამუკაშვილი და შოთა ხინჩაგაშვილი. საშეჯიბრო კომიტეტს, როგორც უწინ, ბადრი ქარქაშაძე უხელმძღვანელებს. მას დაეხმარება ცნობილი ვეტერანი ფეხბურთელი გია ფირცხალავა. საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტს უთავ[illegible]ცებს დავით პეტრიაშვილი, ბავშვთა ფეხბურთს — ლევან ყიფიანი, ვეტერანთა სოციალურ დაცვას — ილია მჭედლიშვილი, სატრანსფერო კომიტეტს — ლევან გორხელაშვილი. პრესკონფერენციაზე, ცხადია, ჩვენს საერთო სატკივარზე — ეროვნული ჩემპიონატის დაბალ დონეზეც ითქვა. მართალია, ამჟამად სფფ — ფინანსურ სიძნელეებს განიცდის (მიუხედავად არაერთგზის თხოვნისა, დაწვრილებით ესაუბრა საზღვარგარეთულ ბანკებში განთავსებულ ფედერაციის ანგარიშებზე, ჟორდანიამ თავი აარიდა ამ თემაზე საუბარს), მიღებულია ზომები, რათა დაეხმარონ გუნდებს როგორმე ჩაამთავრებინონ ჩემპიონატი. აი, მერმისიდან კი, თურმე, საქმე სხვანაირად იქნება და, ფაქტობრივად, ჟორდანიამ გაიმეორა ის, რაც ამას წინათ ჭადრაკის სასახლეში გამართულ ფორუმზე განაცხადა: ერთ თვეში გაირკვევა, თუ რა სიახლეები იქნება მომავალ გათამაშებაში, მერე კი გუნდების ხელმძღვანელებს შეკრებენ და პირველ ჯგუფში მონაწილეობისათვის მოსთხოვენ ფინანსურ გარანტიებს: თითოეულ კლუბს ანგარიშზე უნდა ჰქონდეს 200 ათასი დოლარის შესატყვისი თანხა ლარებში. ისეც შეიძლება მოხდეს, რომ ამდაგვარი გუნდების რაოდენობა მცირე იყოს, მაშინ მათ მეორეჯგუფელებსაც დავუმატებთო.

სფფ-ს პრეზიდენტის განცხადებით, იგი აპირებს შექმნას საგანგებო კომისია, რომელიც ადგილზე შეისწავლის ვითარებას. გარდა საფინანსო გარანტიებისა, კლუბები ვალდებულნი იქნებიან საკუთარი ან იჯარით აღებული სათამაშო მინდვრების გარშემო განათავსონ სარეკლამო დაფები, ვინაიდან სატელევიზიო რეპორტაჟების უფლებები ცენტრალიზებული იქნება (ამისათვის ბრძოლა ჟორდანიამ ჯერ კიდევ სამი წლის წინათ დაიწყო, როცა კლუბის პრეზიდენტთა საბჭოს ხელმძღვანელობდა). ეროვნულ ჩემპიონატს აუცილებლად ეყოლება სპონსორები. მოგვარდება ფეხბურთელების და მსაჯების დაზღვევის საკითხი — ამაზე „ალდაგი“ მუშაობს. სათანადოდ გაფორმდება კონტრაქტები მოთამაშეებსა და კლუბებს შორის, კლუბებსა და სამართალდამცველ ორგანოებთან.

როგორც ხედავთ, მართალია ნელა, მაგრამ გეგმაზომიერად, ფედერაციის ახალი ხელმძღვანელობა დგამს ნაბიჯებს პროფესიული საფეხბურთო ლიგის შესაქმნელად. მოსამზადებელი სამუშაოები, იცოცხლეთ, ბევრია. ცხადია, მარტო სფფ ამდენ გასაკეთებელს ვერ აუვა. მას, პირველ რიგში, მხარში უნდა ამოუდგნენ მსხვილი ფირმები. ამ მიმართებით კარგა ხანია მიმდინარეობს მუშაობა. გაფორმებულია კონტრაქტები „საქართველოს ავიახაზებთან“, „ეარ ჯორჯიასთან“, მზადდება ხელშეკრულებები „კოკა-კოლასთან“, „ალდაგთან“, „მაგთისთან“, „ბორჯომთან“. ჟორდანიას განცხადებით: „ჩვენ მხოლოდ მეცენატურ დახმარებას არ ვითხოვთ, ვინც სპონსორი იქნება, თავადაც ნახავს სარგებელს“.

დიდი ინტერესით ელოდნენ ჟურნალისტები პასუხს შეკითხვაზე — როგორია ამჟამად ფედერაციის ფინანსური მდგომარეობა? თურმე, სფფ-ს 280 ათასი ლარი აქვს სახელმწიფოს ვალი, 180 ათასი დოლარი — შვეიცარიული ბანკისა. ფედერაციის ხელმძღვანელები ყველა ღონეს ხმარობენ, რათა მოვალეები გაისტუმრონ. მ. ჟორდანია: „ამ დღეებში მე, ჩივაძე და გენმდივანი ჩოლარია შვეიცარიას გავფრინდებით. დაგეგმილი გვაქვს ფირმა „ტელესპორტის“ მესვეურებთან შეხვედრა. იცით, სწორედ მასთან ჰქონდა უწინ სფფ-ს გრძელვადიანი, მაგრამ კაბალური კონტრაქტი გაფორმებული. ყველანაირად შევეცდებით ხელშეკრულებაში ჩვენთვის სასარგებლო პუნქტები შევიტანოთ, ანდა, საერთოდ, გავაუქმოთ იგი. გარდა ამისა, იცით, ბანკში ხელმოწერა ჩივაძეზეა გაფორმებული და ახლა იგი ჩვენზე უნდა გადავიფორმოთ“.

ერთ-ერთი ჟურნალისტის შეკითხვამ — საქართველოს გენერალურ პროკურატურას აქვს ცნობა, რომ ჟორდანიას, თურმე, ვიცე-პრეზიდენტად ნოდარ ახალკაცის ვაჟი სდომებიაო — პრესკონფერენციის მომწყობთა გაკვირვება გამოიწვია, ნეტავ საიდან ჩნდება ასეთი ცრუ ვერსიებიო...

ჯემალ ჭიკაშვილი

კლუბების ლიდერები

# თიკუნი, სისწრაფე და ცაცია

**ავჭალის სტადიონ „სინათლეზე“ ანშლაგი იშვიათობაა. „მერანი-91“-ის მატჩებს მაყურებელი კი ჰყავს, მაგრამ ქომაგებმა ამ ბოლო დროს ცოტათი აიცრუეს გული — მათი გუნდი X ეროვნულში ის აღარაა, რაც VIII-ში ან თუნდაც IX-ში იყო. „მერანის“ ერთგულესი გულშემატკივრები კი ის ხალხია, ვისაც ფეხბურთით ტკბობა ახალი დაწყებული აქვთ და, ბუნებრივია, თავიანთი კერპებიც ჰყავთ. თუმცა, „კერპი“ ალბათ ხმამაღლა ჟღერს, მაგრამ იმ ბიჭუნებს, რომლებიც „მერანის“ ერთგულეს გულშემატკივრებს წარმოადგენენ, „აბრეზა“ განსაკუთრებულად უყვართ. „აბრეზას“ გოლი თუ „პოდ სებია“, მათში ერთობ დიდ სიხარულს და აღფრთოვანებას იწვევს. „მერანმა“ რომც წააგოს, ოღონდ თუ „აბრეზა“ გოლს გაიტანს ან რამდენიმეჯერ დაჯაბნის მეტოქე მცველებს, ამ ბიჭუნებს მაინც არ დარჩებათ უკმაყოფილების გრძნობა — მთავარია, „აბრეზამ“ თავისი სიტყვა თქვას სრულად თუ არასრულად, მთავარია, რომ ისინი „აბრეზას“ თამაშით გაწბილებულნი არ დარჩნენ.**

შემთხვევით კი არაფერი ხდება. *სულიკო დავითაშვილი* 1994 წლიდან დღემდე წარმატებით იცავს „მერანი-91“-ის ღირსებას. მას უკანა პლანზე ყოფნა არ სჩვევია. 1994-95 წწ. სეზონში, როცა „მერანი“ II ჯგუფში ასპარეზობდა, მან 14 გოლი გაიტანა, მომდევნო სეზონში — 24 და „მერანმა“ VIII ეროვნული ჩემპიონატი უკვე პირველ ჯგუფში დაიწყო. გუნდში ახალი მთავარი მწვრთნელი, თემურ მახარაძე მიიწვიეს. „მერანმა“ და „აბრეზამ“ შთამბეჭდავი სტარტი აიღეს — პირველი ჯგუფის დებიუტანტი მყისვე ლიდერებში მოექცა, სულიკოს კი გოლი გოლზე გაჰქონდა. მაგრამ თემურ მახარაძემ უცბად, რატომღაც, უარი თქვა 18 წლის მეგოლეზე, უფრო გამოცდილ ფორვარდებს ენდო — „აბრეზას“ ძირითადად სათადარიგოთა სკამის გათბობა უწევდა, მახარაძე მას შეცვლაზე თუ ათამაშებდა და ისიც მაშინ, როცა თამაშში გარდატეხის შეტანა ძალიან ძნელი იყო. მოკლედ, „აბრეზა“ მწვრთნელს თან გაჭირვების ტალკვესად ეგულებოდა, თან კი ურთულეს გამოცდებს უწყობდა. მაგრამ სულიკომ გაუძლო ძნელბედობას. „მერანის“ გულშემატკივრებიც ნდობას უცხადებდნენ მას, ამხნევებდნენ, ტრიბუნებიდანაც ხშირად უკიჟინებდნენ თემურ მახარაძეს ეს ბიჭი არ დაგვიჩაგროო. ასეა თუ ისე, პირველი ჯგუფის დებიუტანტმა ფურორი მოახდინა და ინტერტოტოს საგზური მოიპოვა. „აბრეზას“ კი გუნდს ამაში 10 გატანილი გოლით შეეშველა. სულიკოს არც ევროპულ სარბიელზე გამოუცხადა მწვრთნელმა ნდობა, პირველ ორ მატჩში განაცხადშიც არ შეიყვანა, მომდევნოში შეცვლებზე ათამაშა და „აბრეზა“ ასეთი „მოწყალება“ ერთი გოლით დაუფასა გუნდის თავკაცს.

მას შემდეგ ორი წელიწადი გავიდა, მაგრამ „მერანისათვის“ ბევრმა წყალმა ჩაიარა. გუნდი არაერთმა ფეხბურთელმა დატოვა, ბევრიც მოვიდა. მთავარი მწვრთნელი ორჯერ შეიცვალა. გულშემატკივრები კი კვლავაც დიდ იმედს ამყარებენ სადა, გულღია, ღვთისმორწმუნე მერანელზე, რომელსაც მეტად ორიგინალური თიკუნი აქვს — „აბრეზა“.

● ***იმ სეზონის შემდეგ, როცა „მერანმა“ ინტერტოტოს საგზური მოიპოვა, გუნდი მაღალი მიზნებისთვის ვეღარ იბრძვის. „მერანი“ ბევრმა წამყვანმა მოთამაშემ დატოვა, მაგრამ მიზეზი, ალბათ მხოლოდ ეს არ უნდა იყოს...***

— ფეხბურთელების წასვლამ, რა თქმა უნდა, იმოქმედა, მაგრამ ამას სხვა ფაქტორებიც დაემატა. ის, რომ, ჩვენ ევროტურნირში ვიასპარეზეთ, საქართველოს ჩემპიონატის გუნდებს ერთობ ახელებდა და ისინიც უფრო მეტი ჟინით, შემართებით გვეთამაშებოდნენ. ყველას სურდა ევროპამოვლილ გუნდთან ასპარეზობისას გამოეჩინა თავი. ძალიან დიდი როლი შეასრულა მატჩმა ბათუმის „დინამოსთან“, როცა ჩვენი მოსაგები თამაში მსაჯმა წაგვაგებინა. დაგვაკლეს 5 ქულა, მერე — 2. ამან ფსიქოლოგიურად გაგვტეხა. რომ არა ეს ყველაფერი, ვფიქრობ, შევძლებდით ევროტურნირების საგზურის მოპოვებისთვის მძაფრი კონკურენცია გაგვეწია მოწინავე გუნდებისთვის.

● ***იმ მატჩში შენ გოლი გაიტანე და 7 შეგდებული ბურთით ბომბარდირთა დავაშიც დაწინაურდი. მაგრამ მერე ისე მოხდა, რომ შვიდს მხოლოდ ოთხი მოუმატე და 11 გატანილი გოლით დაამთავრე წინა სეზონი.***

— მიზეზი არ ვიცი... ალბათ სათანადოდ ვეღარ ვემზადებოდი კონკრეტული მატჩებისთვის.

● ***„მერანი“ ახლა ახალგაზრდული გუნდია, ბევრმა გამოცდილმა ფეხბურთელმა დატოვა ის. შენ წამყვანი ფორვარდიც გახდი და გუნდის ერთ-ერთი ლიდერიც. მაგრამ ის, რომ „მერანში“ მძაფრ კონკურენციას ვერ გრძნობ, უარყოფითად ხომ არ მოქმედებს 21 წლის ფეხბურთელზე (სულიკო დღეს გახდება ოცდაერთის — დ. თ.)?***

— კონკურენცია კარგია, ოღონდ ის სამართლიანი უნდა იყოს. ხოლო ვი-



სულიკო დავითაშვილი (მუქ მაისურში)

თარება, რაც ახლაა „მერანში“, ჩემზე დიდად არაფრით იმოქმედებს. ვთვლი, რომ ამით არაფერი მემუქრება.

● ***„მერანის“ ორი ყოფილი მთავარი მწვრთნელი — თემურ მახარაძე და ჯონი ჯანელიძე, წმინდა საფეხბურთო ასპექტების მხრივ, მკვეთრად განსხვავდებოდნენ?***

— კი, თანაც ძალიან. ჯონი ჯანელიძე უფრო მკაცრი ფეხბურთის მიმდევარია — საერთო და სათამაშო დისციპლინის მაღალი დონე მისთვის უმთავრესია, მას ხშირად უთქვამს, რომ მირჩევნია თამაში წავაგო, ოღონდ, დისციპლინა მაღალ დონეზე იყოსო. თემურ მახარაძე კი მთლიანად შედეგზეა ფოკუსირებული.

● ***გუნდის ხელმძღვანელობამ ამ სეზონში ევროტურნირებისთვის ბრძოლა დაგისახათ მიზნად?***

— მიზანი ასეთი კი იყო, მაგრამ ალბათ ვეღარ განხორციელდება. თუმცა, თასზე ჯერ კიდევ შეგვიძლია წარმატებაზე ფიქრი და ძირითად აქცენტსაც ალბათ თასის გათამაშებაზე გადავიტანთ.

● ***მაინც რა დაემართა „მერანს“? გოლის გატანა გუნდს ძალიან უჭირს...***

— მიზეზი ჩვენს თავში უნდა ვეძებოთ. ისიცაა, რომ გუნდში გოლის გამტანი გვაკლია.. გოლის გატანა ბევრი ფაქტორების გამო ხომ მართლაც ძალზე ძნელია. ამ სეზონში ფორტუნაც ნაღდად ჩვენსკენ არაა — მატჩში 5-6 მომენტს ვქმნით და გოლები კი ვერ გაგვაქვს, თითქოს დავითარსეთ.

● ***ჯერჯერობით მხოლოდ 4 გოლი გაქვს გატანილი...***

— კოჭის ტკივილის გამო პირველი სამი თამაში გამოვტოვე. როცა მოვმჯობინდი, 5 მატჩში 3 გოლი გავიტანე. მერე ისევ ტკივილები დამეწყო, რაც ახლაც არ მასვენებს.

● ***უმწვრთნელოდ, ინდივიდუალურად იტვირთავ თავს?***

— ვარჯიშის შემდეგ რამდენიმე ფეხბურთელი ვრჩებით მინდორზე და კვლავ ვვარჯიშობთ. დამოუკიდებლად ვვარჯიშობ ათლეტიზმში.

● ***შენს უპირატესობად რას მიიჩნევ?***

— სისწრაფეს და ჩემს ცაციას. თუმცა ხანდახან მარჯვენათიც გამაქვს გოლი და არც ისე იშვიათად.

● ***ალბათ, ფავორიტებიც გყავს?***

— ადრე ასეთად ვან ბასტენი მეგულებოდა, ახლა რონალდო. საერთოდ, ბრაზილიური ფეხბურთი მომწონს. მილანის „ინტერს“ კი რონალდოს გამო გულშევმატკივრობ.

● ***როგორ ფიქრობ, შენ, როგორც მარცხენა გარემარბს, უფრო მეტი სარგებლობის მოტანა შეგიძლია გუნდისთვის, თუ როგორც ტიპიურ სნაიპერს?***

— ვთვლი, რომ თუ წმინდა წყლის მარცხენა გარემარბად გამამწესებენ, მეტ სარგებლობას მოვუტან გუნდს. აი, ვთქვათ, სავიო (მადრიდის „რეალი“ — დ.თ.) ავიღოთ. აშკარაა, რომ ამ ბიჭს გოლის გატანას მაინცდამაინც არ სთხოვენ და მასაც ფლანგზე თამაშით დიდი სარგებლობა მოაქვს გუნდისთვის, სავიოს თამაშის ცქერა დიდ სიამოვნებას მგვრის. მაგრამ გოლი მაინც გოლია, გოლის გატანა ჩემთვის ყველაფერია. როცა ფეხბურთში პირველ ნაბიჯებს ვდგამდი, მარცხენა მცველად ვთამაშობდი, მაგრამ გოლის გატანის ისეთი დიდი სურვილი მქონდა, რომ სულ წინ მივდიოდი და გოგი მამალაძემაც (35-ე საფეხბურთო სკოლის მწვრთნელი) ჩემი ფორვარდად გადაკეთება მოინდომა...

დათო თავართქილაძე

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

**«არსენალი» აღარ იყიდება.**

**ტელეკომპანია** „კარლტონ კომუნიკეიშნმა“ მიზეზის აუხსნელად უარი თქვა ლონდონის „არსენალის“ შეძენაზე. სექტემბერში ფირმის ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ მოლაპარაკება აქვს საფეხბურთო კლუბთან. ამასთან, აქციების შესაძენად განკუთვნილი თანხა არ გამოუცხადებიათ, მაგრამ ეტყობა, იგი 275 მილიონ გირვანქა სტერლინგს უდრიდა.

**«ტორპედოსაგან» აღარაფერი დარჩა»**

**ასე ფიქრობს მოსკოვის „ტორპედოს“ ყოფილი მწვრთნელი ალექსანდრ ტარხანოვი, რომელიც ახლა სამარის „კრილია სოვეტოვს“ ჩაუდგა სათავეში.**

**— „ტორპედოში“ მარცხი განვიცადე? განვიცადე, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ეს გუნდი ფეხბურთს ვერ ითამაშებს. ვერც თამაშობდა სტრელცოვისა და ვორონინის შემდეგ. კლუბში რთული ურთიერთობაა, გნებავთ, ხელმძღვანელობაში, გნებავთ, ქვედა ფენებშიც. ცსკა-ში მოქმედი გუნდი მყავდა, იმიტომ, რომ ვიცოდი, არასდროს არავინ გამყიდის. „ტორპედოში“ კი საქმე სულ სხვანაირად იყო. აი ნიკოლაი სავიჩევიჩმა ამას წინათ კარგად თქვა — არც რაიმე ტრადიცია დარჩა, არც, საერთოდ, არაფერი. ამიტომაც არის, რომ სულ დაბლა ეცემიან. არავითარი თამაში აღარა აქვთ.**

**დელ პიეროს ოპერაციამ კარგად ჩაიარა**

„**ოპერაციამ** კარგად ჩაიარა. ჩვენ მალე ველით პაციენტის ჯანმრთელობის აღდგენას“ — განაცხადა დოქტორმა რიჩარდ სტიდმენმა, რომლის კლინიკაშიც ამერიკის ქალაქ ვეილში (კოლორადოს შტატი) მკურნალობს ალესანდრო დელ პიერო.

უნდა ითქვას, რომ ვეილის კლინიკას დიდი სახელი აქვს მთელ მსოფლიოში. აქ ჩაუტარდეს ოპერაციები ისეთ ცნობილ სპორტსმენებს, როგორნიც არიან ფეხბურთელი ლოთარ მათეუსი, ჩოგბურთელი მონიკა სელეში, სამთო მოთხილამურე მარკ ჟირარდელი.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## გერმანული ფეხბურთის ამბები

### მათეუსი სამშობლოს განერიდება

*37 წლის ლოთარ მათეუსს მიუნხენის „ბაიერთან“ კონტრაქტი 2000 წლამდე აქვს დადებული. თუმცა, შეიძლება, ამ სეზონის ბოლოს ლოთარმა დატოვოს ბავარიული კლუბი და საზღვარგარეთის რომელიმე ნაკლებსახელოვან და ნაკლებადპრესტიჟულ გუნდში გააგრძელოს კარიერა.*

ზემოთქმულის შესახებ მათეუსმა გაზეთ "Die welt"-ში განაცხადა. „გერმანია ის ქვეყანაა, სადაც გამეფებულია შური. აქ არის ხალხი, რომლებიც ჩასაფრებულნი არიან როგორმე ჩემი შეცდომა დააფიქსირონ ამა თუ იმ თამაშში. მათ აგრეთვე ძალიან დიდ სიამოვნებას ანიჭებს ისიც, თუ მე ტრავმას მივიღებ“ — ასე ახსნა თავისი სურვილის მართებულობა მათეუსმა. მაგრამ არის კიდევ ერთი ფაქტორი — „ბაიერნის“ თავკაცი ოტმარ ჰიტცფელდი, რომელმაც ცალსახად გამოთქვა თავისი აზრი მათეუსზე: „ვეტერანს არანაირი უპირატესობა და პრივილეგია არ ექნება სხვა მოთამაშეებზე“. ამ, ვითომდა დიპლომატიურმა განცხადებამ კი მათეუსზე ერთობ არასასიამოვნოდ იმოქმედა.

### მიიღეთ მსხვერპლი ჩემგან...

გერმანიის ეროვნულ ნაკრებს მართლაც რომ მძიმე დღეები უდგას. გუნდი აშკარა ჩავარდნის სიმწარეს განიცდის, რომლის კაპიტანი ოლივერ ბირჰოფი აცხადებს, რომ მზად არის სათადარიგოთა სკამზე დაჯდეს, თუ ამით ნაკრებს რაიმე ეშველება. „ახლა, ცოტა არ იყოს, რთული პერიოდი დამიდგა. ჩემი პოზიციები ნაკრებში კითხვის ნიშნის ქვეშ მოექცევა თუ სიძნელეებს ვერ გადავლახავ“ — ამბობს ბირჰოფი. საქმე ისაა, რომ ნაკრების ბოლო ხუთ მატჩში მან ერთი გოლი გაიტანა. ვერც იტალიის ჩემპიონატში მისდის კარგად საქმე — ოლივერმა 12 მატჩში მხოლოდ 7-ჯერ შეძლო „მილანის“ ფანების გახარება. წინა სეზონში კი, როცა „უდინეზეში“ გამოდიოდა, 27 გოლით სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირი გახდა. „მე ვვარაუდობდი, რომ ეს სეზონი ჩემთვის რთული გამოდგებოდა. ახალი გუნდი, ახალი მწვრთნელი, ახალი სათამაშო სქემა — ყველაფერ ამას, ძნელია მეყსეულად მიეჩვიო. მაგრამ მე ყოველთვის ჩემს შეცდომებს ვეძებ. კიდევ ერთხელ მმართებს ხასიათის გამოვლენა და გოლების გატანა. ფიზიკურად ახლა კარგად ვგრძნობ თავს და ერთი სული მაქვს როდის გავუმართლებ „მილანის“ გულშემატკივრებს იმედებს“ — უთხრა "Bild"-ის კორესპონდენტს ოლივერ ბირჰოფმა.

### ბასლერს არა... ბანქოს გამო?

გერმანიის ნაკრები თვის ბოლოს რამდენიმე დღით შეკრებაზე მიდის აშშ-ში, სადაც ალბათ ერთ-ორ ამხანაგურ მატჩსაც ჩაატარებს. გუნდის თავკაცმა ერიხ რიბეკმა კი ამასთან დაკავშირებით განაცხადა: „ნაკრების ფორმირების დროს გავითვალისწინებ ბოლო სამი თამაშისაგან მიღებულ შთაბეჭდილებებს ამა თუ იმ ფეხბურთელზე, აგრეთვე ფეხბურთელების ქცევას საფეხბურთო მინდვრის გარეთაც. ვინც მე მიცნობს, იმათ კარგად მოეხსენებათ, რომ არასდროს გავურბოდი არაპოპულარული გადაწყვეტილებების მიღებას. ასე რომ, ნუ გაგიკვირდებათ, თუ გუნდში ერთ-ორ ცნობილ მოთამაშეს ვერ იხილავთ“.

რიბეკს არ დაუკონკრეტებია თუ ვის გულისხმობდა, მაგრამ გერმანელმა ჟურნალისტებმა მყისვე ამოიცნეს მწვრთნელის ერთი შერისხული ფეხბურთელი — მარიო ბასლერი. როცა ბუნდესთიმმა ბოლო მატჩი (ამხანაგური) ითამაშა ჰოლანდიასთან (1-1), ბასლერი ძალიან უნიათოდ ირჯებოდა და პრესამაც კრიტიკა არ დაკლო მას. თურმე თამაშის წინა დღეს ბანქოს შუაღამემდე შეჰყოლია, თანაც ძალიან დიდ ფსონებზე თამაშობდა. თვით ბასლერი არ უარყოფს, რომ ბანქოთი ერთობოდა, მაგრამ აცხადებს, რომ ეს შუაღამეს არ მომხდარა და არც დიდ ფულზე თამაშობდა.

მოკლედ, ბასლერის არგამოძახება ეროვნულ გუნდში, მომწიფდა და, თუ ეს მოხდა, რა თქმა უნდა, ძალიან არაპოპულარული ჟესტი იქნება რიბეკის მხრიდან. ბასლერს ჩავარდნები კი აქვს, მაგრამ ხალხი მას კვლავ „სუპერმარიოდ“ იხსენიებს, ხოლო „ბაიერნის“ ფანებს სულაც მზე და მთვარე ამოსდით მასზე.

# მაინც, რამდენი პრეტენდენტია?

## ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა

ესპანეთის ჩემპიონატი სულაც არ ჰგავს ადრინდელებს, როცა ძირითადი ბრძოლა, მცირე გამონაკლისის გარდა, მადრიდის „რეალსა“ და „ბარსელონას“ შორის მიმდინარეობდა. ახლა განსხვავება ლიდერებსა და სატურნირო ცხრილის შუაგულში მყოფ გუნდებს შორის სრულიად უმნიშვნელოა, ცხრილის თავში კი ლიდერი ხშირად იცვლება.

„მალიორკამ“ და ვიგოს „სელტამ“ წინა, 1997-98 წლების ჩემპიონატი კარგად წარმართეს — 60-60 ქულით მეხუთე და მეექვსე ადგილები დაიკავეს. ახლა ისინი კიდევ უფრო მომძლავრდნენ და უკვე პირველ ადგილს უმიზნებენ. „მალიორკამ“ სტარტზე თუნდაც იმითი მიიქცია ყურადღება, რომ პირველ 4 ტურში გოლი არ გაუშვია, შემდეგ კი ლიდერთა ჯგუფი არასოდეს დაუტოვებია.

VI ტურის შემდეგ 13 ქულით ლიდერობდა მადრიდის „რეალი“, თუმცა მისი დაცვა საკმაო შეცდომებით თამაშობდა. მეექვსე ტურში სამეფო კლუბმა სარაგოსაში მეტად მძაფრი ბრძოლის შემდეგ მოიპოვა გამარჯვება: 4-3. საინტერესოა, რომ გუუს ჰიდინკი ნაკლებად ენდობა როგორც მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერ შუკერს, ისე ესპანეთის ნაკრების ნახევარმცველ მორიენტესს. წინა ხაზზე ჩინებული დუეტია: რაული — მიატოვიჩი. საყოველთაო აღტაცება გამოიწვია რაულ გონსალეს ბლანკოს რამდენიმე გოლმა, ხოლო თვით ახალგაზრდა თავდამსხმელი სათავეში მოექცა სნაიპერთა ცხრილს.

მეშვიდე ტურში „რეალმა“ მაინც დაკარგა პირველი ადგილი. იგი ახლო იყო მოგებასთან „სანტიაგო ბერნაბეუზე“ სანტანდერის „რასინგთან“, მაგრამ უკანასკნელ წუთზე მცველებმა უყურადღებოდ დატოვეს რუსი ფეხბურთელი ბესჩასტნიხი, რომელმაც რვა მეტრიდან აიღო ბიდო ილგნერის კარი — 2-2. ამასობაში „მალიორკამ“ საკუთარ მინდორზე პირდაპირ გაანადგურა: 4-0 მადრიდის „ატლეტიკო“ და ლიდერი გახდა. საყურადღებოა, რომ მადრიდის „ატლეტიკო“, რომელსაც იტალიელი მწვრთნელი არიგო საკი ხელმძღვანელობს, დიდხანს მეტად არათანაბრად თამაშობდა. იგი მხოლოდ შინ იმარჯვებდა „ვისენტე კალდერონის“ სტადიონზე.

მომდევნო ტურებიც ძირითადად „რეალისა“ და „მალიორკას“ მეტოქეობის ნიშნით მიმდინარეობდა. მერვე ტურში მადრიდელებმა სტუმრად მძიმე მარცხი აგემეს აუტსაიდერ „ესტრამადურას“ — 5-1. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, წინა ჩემპიონატთან შედარებით უკეთესად თამაშობს ბრაზილიელი ნახევარმცველი სავიო. „მალიორკამ“, რომელმაც ფრედ — 1-1 ითამაშა სტუმრად „ლა კორუნიასთან“, მეორე ადგილზე გადაინაცვლა, მაგრამ როგორც გაირკვა, მხოლოდ ერთი ტურით. მეცხრე შეხვედრა მოიგო 1-0 „ვილია რეალთან“, „რეალმა“ კი ფრედ 1-1 დაასრულა თამაში ერთ-ერთ აუტსაიდერ „ალავესთან“. ამის შემდეგ „მალიორკამ“ 19 ქულა მოაგროვა, „რეალმა“ კი ერთით ნაკლები.

მეათე ტურში მართლაც რომ სენსაციური რამ მოხდა. ისე რომ, „ვალიადოლიდმა“, რომელიც წლეულს კარგად თამაშობს, „მალიორკა“ დაამარცხა ხორვატ პეტერნაცის მიერ გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით, კიდევ არაფერი. მთავარი სიურპრიზი პატარა გალისიური ქალაქის, ვიგოს „სელტამ“ შემოგვთავაზა. იგი მადრიდში „რეალთან“ თამაშობდა და, როგორც ყველაფრის მცოდნე სტატისტიკოსებმა გამოაცხადეს, თურმე ამ სტადიონზე სულ ბოლოს გაიმარჯვა... ნახევარი საუკუნის წინათ. ბულგარელმა პენევმა პირველ ტაიმში პენალტით გახსნა ანგარიში, შემდეგ „სელტამ“. იქ, სხვათა შორის, რუსეთის ნაკრების მოთამაშეები მოსტოვოი და კარპინი გამოდიან, მეორე გოლიც გაიტანა და ბრაზილიელი რობერტო კარლოსის ერთმა საპასუხო ბურთმა უკვე მდგომარეობა ვერ იხსნა. 2-1 — გაიმარჯვა „სელტამ“ და სატურნირო ცხრილში პირველ ადგილზე გადაინაცვლა. რა თქმა უნდა, ლიდერობის შენარჩუნება გაცილებით უფრო ძნელი იყო, ვიდრე მისი მოპოვება. ეს უკვე მომდევნო, მეთერთმეტე ტურშივე გახდა ნათელი. „ალავესი“ ახლოსაა აუტსაიდერთა სამეულთან, მაგრამ ცალკეულ მატჩებს, როგორც ადრე გამოჩნდა, ურიგოდ არ ატარებს. ამჯერად მან „სელტას“ სძლია ანგარიშით 2-0. ამასობაში კვლავ აღიმაღლა ხმა შეუპოვარმა „მალიორკამ“, რომელმაც სერხის ავტოგოლის წყალობით „ბარსელონა“ დაამარცხა. იგი 22 ქულით კვლავ პირველ ადგილზე გადავიდა, თანაც უკვე მერამდენედ! არიგო საკი



რივალდო (№ 10)

უკვე კარგა ხანია ირწმუნებოდა, რომ მისი „ატლეტიკო“ საცაა ნამდვილ თამაშს დაიწყებდა. მან მძიმე მარცხი — 6-1 აგემა „ვალიადოლიდს“, ამასთან, ეს 6 გოლი ექვსმა მოთამაშემ გაიტანა. მომდევნო ტურში მადრიდის „ატლეტიკომ“ სტუმრადაც მოიგო, უკვე ჩემპიონ „ბარსელონასთან“: 1-0. გოლი პენალტით იუგოვიჩმა გაიტანა. ერთი სიტყვით, ეტყობა, „ატლეტიკოც“ ჩემპიონობის ერთ-ერთი პრეტენდენტი იქნება. მაინც რამდენი პრეტენდენტია ქვეყნის პირველობაზე?! „მალიორკამ“ ამჯერად წააგო ბილბაოში „ატლეტიკთან“ 0-1. ბასკების თავდამსხმელმა ურსაისმა ატალახიანებულ მინდორზე სუსტად კი დაარტყა, მაგრამ არგენტინის ნაკრების მეკარე როას ბურთი ფეხებშუა გაუძვრა და კარში შეგორდა. ამის მიუხედავად, „მალიორკამ“ 22 ქულით მაინც შეინარჩუნა ლიდერობა.

მეცამეტე ტურში „მალიორკა“ შინ სევილიის „ბეტისს“ ეთამაშებოდა. მას შემდეგ, რაც „ბეტისს“ სათავეში ესპანეთის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ხავიერ კლემენტე ჩაუდგა, სევილიელებმა საკმაოდ გამოასწორეს მდგომარეობა, სატურნირო ცხრილის შუაგულამდე ავიდნენ, მაგრამ ამჯერად ლიდერს მაინც ვერ გაუძლეს. 1-0 გაიმარჯვა „მალიორკამ“ დანის გოლის წყალობით. ამ მოგების შემდეგ „მალიორკამ“ 25 ქულა მოაგროვა და კვლავინდებურად ინარჩუნებს პირველ ადგილს. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ლა კორუნიას „დეპორტივოს“ შეხვედრას ჩემპიონ „ბარსელონასთან“, კატალონიელებს დიდი ციებ-ცხელება აქვთ. ლუის ვან გაალმა ხან რა ცვლილება მოახდინა შემადგენლობაში, ხან რა იღონა, მაგრამ შედეგი არა ჩანს. ამჯერად სტუმრებმა თამაში უკლუივერტოდ დაიწყეს, რომელიც ბრაზილიელმა სონი ანდერსონმა შეცვალა. ერთადერთი, რომელიც ძლიერად თამაშობს ჩემპიონის შემადგენლობაში, ეს კიდევ ერთი ბრაზილიელი რივალდოა. მას შემდეგ, რაც აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებულმა მუსტაფა ჰაჯიმ გახსნა ანგარიში, რივალდომ 11-მეტრიანით აღადგინა წონასწორობა, მაგრამ ფრანის მეორე გოლმა მაინც მოუტანა წარმატება „დეპორტივოს“, რომელმაც 23 ქულით მეორე ადგილზე გადაინაცვლა. „სალამანკამ“ და „სელტამ“ ფრედ — 1-1 ითამაშეს და „სელტას“ 22 ქულა დაუგროვდა, იმდენივე, რამდენიც „ვალენსიას“, სადაც შესანიშნავად თამაშობს არგენტინელი კლაუდიო ლოპესი. სწორედ მისი გოლის წყალობით „ვალენსიამ“ სტუმრად მოუგო „ალავესს“. მასპინძლებს შეეძლოთ ქულის ხსნა, მაგრამ ივან როჩამ პენალტის შესრულებისას საოცრად შორს ააცილა ბურთი კარს. ამჯერად საკმაოდ უფერული გამოდგა მადრიდის „ატლეტიკოსა“ და ბილბაოს „ატლეტიკის“ შეხვედრა — 0-0. ახლა მადრიდელები 21 ქულით მეხუთე ადგილზე არიან, რაც შეეხება მადრიდის „რეალს“, იგი სტუმრად ეთამაშებოდა ბარსელონას „ესპანიოლს“. გუუს ჰიდინკმა ჩემპიონთა ლიგის მატჩის წინ დაასვენა რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი და სხვებიც არც ისე აქტიურობდნენ — 0-0. ახლა „რეალს“ იმდენივე ქულა აქვს, რამდენიც „ბარსელონას“ — ცხრამეტი.

ერთი რამ სავსებით ცხადია, ესპანეთის ახლანდელი ჩემპიონატი შარშანდელთან შედარებით გაცილებით უფრო მწვავეა, პირველი ადგილის ამდენი პრეტენდენტი კი, შეიძლება ითქვას, არასოდეს ყოფილა.

გივი გამრეკელი

### ჰიტცფელდი: ამხანაგური მატჩები არაფერს იძლევა

მიუნხენის „ბაიერნის“ მწვრთნელი ოტმარ ჰიტცფელდი ამხანაგურ საერთაშორისო მატჩებს დროის ტყუილუბრალოდ დაკარგვად თვლის.

— ასეთი მატჩების გამართვა სრული უაზრობაა — განუცხადა მწვრთნელმა გაზეთ „ველტ ამ ზონტაგის“ კორესპონდენტს. — მათ მოთამაშეებისა და მწვრთნელებისათვის არაფერი მოაქვთ, მხოლოდ აღიზიანებენ მათ.

რაც შეეხება „ბაიერნის“ პრეზიდენტს ფრანც ბეკენბაუერს, იგი ნაკრების კალენდარსაც გადატვირთულად თვლის.



### სფორცას დიდი ოპტიმიზმი

— შეიძლება „კაიზერსლაუტერნმა“ ჩემპიონთა თასი მოიპოვოს? — რატომაც არა — უპასუხებს ამ კლუბის შვეიცარიელი ფეხბურთელი ჩირიაკო სფორცა. 1997 წელს დორტმუნდის „ბორუსია“ სულაც არ ითვლებოდა ფავორიტად, მაგრამ თასს დაეუფლა. ახლა „კაიზერსლაუტერნი“ წინ მიიწევს და კარგი შესაძლებლობებიც უჩნდება. ამასთან, კლუბი პირველი იყო, ვინც ლიგის მეოთხედფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. თვით სფორცას მწვრთნელმა ოტო რეჰაგელმა ამპლუა შეუცვალა. ახლა იგი ლიბეროდ თამაშობს. რაც შეეხება ბუნდესლიგას, აქ „კაიზერსლაუტერნი“ შარშანდელთან შედარებით ნაკლები წარმატებით გამოდის.



# სამარონის სამარაში მიეჩქარება

ბრაზილიელ ფეხბურთელ სამარონის მოსკოვის „სპარტაკთან“ კონტრაქტი გაუთავდა. ახლა სამარას „კრილია სოვეტოვისკენ“ უჭირავს თვალი.

● *ყოფილხართ სამარაში?*

— ვიყავი, როცა მოსკოვის „ტორპედოში“ ვთამაშობდი. ქალაქი ძალიან მომეწონა, ვოლგა კი ძალიან ლამაზია.

● *თქვენი გვარით სამარაში კარგად მიგიღებენ...*

— სხვათა შორის, „სპარტაკში“ რომ ჩავირიცხე, პირველივე დღიდან „სამარას“ მეძახოდნენ.

● *თქვენს გარდა, სამარაში კიდევ ორი ბრაზილიელი გადადის — ლეონიდასი და ჟორჟინიო. პირველი საკმაოდ კარგად არის ცნობილი რუსეთში, მეორე — ნაკლებად.*

— 23 წლის ჟორჟინიო თავდამსხმელია ამ სეზონში ტულის „არსენალში“ თამაშობდა და არცთუ ურიგოდ.

● *ლეონიდასი რაღას აკეთებს?*

— იგი ბრაზილიაში ისვენებს და მუხლის ტრავმას იშუშებს. მიხარია, რომ კვლავ ვითამაშებ მასთან ერთად.

● *თქვენ რომელ პოზიციაზე გირჩევნიათ თამაში?*

— ნახევარდაცვის ცენტრში.

● *საზღვარგარეთის კლუბებიდან თუ გქონიათ ამ ბოლო ხანებში მიწვევა?*

— მხოლოდ ბრაზილიიდან, სან-პაულუს შტატის ორი გუნდისაგან.

### უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ფეხბურთს თამაშობს

მსოფლიოში ერთადერთი პრემიერ-მინისტრი, რომელიც ფეხბურთის ოფიციალურ შეჯიბრებებში მონაწილეობს, უნგრელი ვიქტორ ურბანია. ამას წინათ მან ბუდაპეშტის სტადიონ „ფერენცვაროშზე“ ითამაშა მატჩი, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ ინგლისისა და უნგრეთის პოლიტიკური მოღვაწეების ნაკრებები. შეხვედრა მიეძღვნა უნგრელების ისტორიულ გამარჯვებას 1953 წელს „უემბლის“ სტადიონზე. მას ესწრებოდნენ იმ მატჩის გმირები ფერენც პუშკაში, ნანდორ ჰიდეგკუტი და დიულა გროშიჩი. ამჯერადაც უნგრელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 2-0. გოლები გაიტანეს ეროვნული ნაკრების ყოფილმა თავდამსხმელმა, ახლა კი პარლამენტის დეპუტატმა მატე ფენვეშიმ და ფინანსების სამინისტროს პოლიტიკურმა მდივანმა მიხაი ვარგამ.

### დისკვალიფიკაცია 8 (!) წლით

ასეთი მკაცრი გადაწყვეტილება პერუს ფეხბურთის ფედერაციამ მიიღო კლუბ „უნივერსიტარიოს“ პრეზიდენტ ალფრედო გონსალესის მიმართ, რომელსაც დაუმტკიცდა ეროვნულ ჩემპიონატში მეტოქის გუნდის მოთამაშეების მოსყიდვის ცდა. მან კლუბ „ატლეტიკო ტორინოს“ თითოეულ მოთამაშეს შესთავაზა ორ-ორი ათასი დოლარი, თუკი ისინი სრული ძალით არ ითამაშებდნენ.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროპის საკლუბო ტურნირები ფეხბურთში

## ჩემპიონთა ლიგა

CHAMPIONS LEAGUE

### VI ტური და ჯგუფური ტურნირის საბოლოო შედეგები

#### «A» ჯგუფი

*პორტო (პორტუგალია) — აიაქსი (ჰოლანდია) 3-0*
ზაჰოვიჩი (55, 73), დრულოვიჩი (82).
*კროაცია (ხორვატია) — ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) 1-1*
1-0 ჩელიჩი (35), 1-1 გიანაკოპულოსი (64).

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ოლიმპიაკოსი** | **6** | **3** | **2** | **1** | **8-6** | **11** |
| კროაცია | 6 | 2 | 2 | 2 | 5-7 | 8 |
| პორტო | 6 | 2 | 1 | 3 | 11-9 | 7 |
| აიაქსი | 6 | 2 | 1 | 3 | 4-6 | 7 |

#### «B» ჯგუფი

*იუვენტუსი (იტალია) — რუსენბორგი (ნორვეგია) 2-0*
ინძაგი (16), ამორუზო (35).
*ატლეტიკო (ესპანეთი) — გალათასარაი (თურქეთი) 1-0*
გერერო (44).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **იუვენტუსი** | **6** | **1** | **5** | **0** | **7-5** | **8** |
| გალათასარაი | 6 | 2 | 2 | 2 | 8-8 | 8 |
| რუსენბორგი | 6 | 2 | 2 | 2 | 7-8 | 8 |
| ატლეტიკი | 6 | 2 | 1 | 3 | 4-6 | 7 |

#### «C» ჯგუფი

*რეალი (ესპანეთი) — სპარტაკი (რუსეთი) 2-1*
1-0 რაული (33), 2-0 სავიო (65), 2-1 ხლესტოვი (89).
*შტურმი (ავსტრია) — ინტერი (იტალია) 0-2*
ძანეტი (64), რ. ბაჯო (80).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ინტერი** | **6** | **4** | **1** | **1** | **9-5** | **13** |
| **რეალი** | **6** | **4** | **0** | **2** | **17-8** | **12** |
| სპარტაკი | 6 | 2 | 2 | 2 | 7-6 | 8 |
| შტურმი | 6 | 0 | 1 | 5 | 2-16 | 1 |

#### «D» ჯგუფი

*მანჩესტერი (ინგლისი) — ბაიერნი (გერმანია) 1-1*
1-0 კინი (43), 1-1 სალიჰამიჯიჩი (56).
*ბრონდბიუ (დანია) — ბარსელონა (ესპანეთი) 0-2*
ფიგუ (4), რივალდო (34).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ბაიერნი** | **6** | **3** | **2** | **1** | **9-6** | **11** |
| **მანჩესტერი** | **6** | **2** | **4** | **0** | **20-11** | **10** |
| ბარსელონა | 6 | 2 | 2 | 2 | 7-6 | 8 |
| ბრონდბიუ | 6 | 1 | 0 | 5 | 4-18 | 3 |

#### «E» ჯგუფი

*ლანსი (საფრანგეთი) — დინამო (უკრაინა) 1-3*
0-1 კალაძე (60), 0-2 ვაშჩუკი (76), 1-2 შმიცერი (78), 1-3 შევჩენკო (85).
*პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — არსენალი (ინგლისი) 1-3*
0-1 ასანოვიჩი (65 საკ. კარში), 1-1 სუპნიევსკი (74), 1-2 ანელკა (80), 1-3 ბოა მორტე (86).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **დინამო** | **6** | **3** | **2** | **1** | **11-7** | **11** |
| ლანსი | 6 | 2 | 2 | 2 | 5-6 | 8 |
| არსენალი | 6 | 2 | 2 | 2 | 8-8 | 8 |
| პანათინაიკოსი | 6 | 2 | 0 | 4 | 6-9 | 6 |

#### «F» ჯგუფი

*კაიზერსლაუტერნი (გერმანია) — ჰიკი (ფინეთი) 5-2*
0-1 იოლა (29), 1-1 როსლერი (44), 2-1 მარშალი (49), 3-1 როსლერი (61), 2-3 ანტონიო (68), 4-2 როსლერი (80), 5-2 რიშე (85).
*ეინდჰოვენი (ჰოლანდია) — ბენფიკა (პორტუგალია) 2-2*
1-0 ხოხლოვი (41), 1-2 ნუნო (47, 65 პენ.), 2-2 ნესტერლოუ (88).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **კაიზერსლაუტ.** | **6** | **4** | **1** | **1** | **12-6** | ***13*** |
| ბენფიკა | 6 | 2 | 2 | 2 | 8-9 | 8 |
| ეინდჰოვენი | 6 | 2 | 1 | 3 | 10-11 | 7 |
| ჰიკი | 6 | 1 | 2 | 3 | 8-12 | 5 |

*შენიშვნა: ცხრილებში გამოყოფილია გუნდები, რომლებიც მეოთხედფინალში გავიდნენ. უეფა წილისყრას 16 დეკემბერს მოაწყობს.*

## უეფას თასი

UEFA CUP

### მერვედფინალის საპასუხო მატჩები

ბეტისი (ესპანეთი) — ***ბოლონია (იტალია)*** 1-0 (1-4)
ოლი (3).
ციურიხი (შვეიცარია) — ***რომა (იტალია)*** 2-2 (0-1).
0-1 დელვეკიო (14), 1-1, 2-1 ბარტლეტი (60, 79), 2-2 ტოტი (90).
***მარსელი (საფრანგეთი)*** — მონაკო (საფრანგეთი) 1-0 (2-2)
კამარა (71).
***ბორდო (საფრანგეთი)*** — გრასჰოპერსი (შვეიცარია) 0-0 (3-3)
***ატლეტიკო (ესპანეთი)*** — სოსიედადი (ესპანეთი) 4-1 დ.დ. (1-2)
1-0, 2-0 იუგოვიჩი (17, 45 პენ.), 2-1 გრასია (51), 3-1 სანტი (96), 4-1 ხოსე მარი (98).
ბრიუგე (ბელგია) — ***ლიონი (საფრანგეთი)*** 3-4 (0-1)
0-1, 0-2 კავეგლია (16, 55), 1-2 დე ბრული (63), 2-2 დე კოკი (69), 2-3 კავეგლია (72), 3-3 ანიჩი (73), 3-4 დორასო (76).
***პარმა (იტალია)*** — რეინჯერსი (შოტლანდია) 3-1 (1-1)
0-1 ალბერტსი (29), 1-1 ბალბო (47), 2-1 ფიორე (63), 3-1 კიეზა (67 პენ.)
ლივერპული (ინგლისი) — ***სელტა (ესპანეთი)*** 0-1 (1-3)
რევივო (57).

*შენიშვნა: ფრჩხილებში მოყვანილია პირველი მატჩების შედეგები. გამოყოფილია მეოთხედფინალში გასული გუნდები.*

## რონალდოზე სოფლელები „გაიქაჩნენ"

ცოლებისა და ქმრების ამ კონფლიქტში, რომელიც იტალიურ სოფელ პეშისში წარმოიშვა, პოლიცია ჩაერია... თურმე ქალებმა იმიტომ დაუშინეს კაცებს მუშტები, რომ, როგორც კი გაიგეს, ქმრებმა სოფლის საერთო კრებაზე ერთხმად გადაწყვიტეს სოფლელების მიერ ლატარიაში მოგებული საერთო თანხა, 40 მილიონი დოლარი სულ სხვა მიზნით დახარჯონ.

— ფეხბურთზე გადარეულ 99 გულშემატკივარ მამაკაცს გადაუწყვეტია თავიანთი გუნდისთვის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის — ბრაზილიელ რონალდოს შეძენა. თუ ეს თანხა არ ეყოფოდა, მაშინ იტალიელი ფერმერები მზად იყვნენ თავიანთი მიწების ნაწილიც გაეყიდათ.

„ინტერის" პატრონებმა ეს ჯერ ხუმრობად მიიჩნიეს, როცა პეშისიდან რონალდოსთან მოლაპარაკების ოფიციალური განაცხადი მიიღეს. მაგრამ გაირკვა, რომ იტალიელ გლეხებს მართლაც სურთ ბრაზილიელის დახმარებით თავიანთი სოფლის გუნდი მალე B კლასის კლუბად აქციონ, რომელიც უმაღლეს ლიგაშიც გამოვა. მილანში ნამდვილი პანიკა ატყდა, ვინაიდან ფულსდახარბებული რონალდო შეიძლებოდა დათანხმებოდა კიდეც და გამგზავრებულიყო სოფელში, მით უმეტეს, რომ მას მთლიანი თანხის მიცემას შეჰპირდნენ.

პეშისელი კაცები მაშინღა დაოკდნენ, როცა „ინტერის" მენეჯერებისაგან ცივი უარი მიიღეს:

— რონალდოს ჯერ არ ვაყენებთ ტრანსფერზე.

ამასობაში თვით რონალდომ „ინტერის" პრეზიდენტს მასიმო მორატის სთხოვა ოჯახის კუთვნილი კლუბის აქციების 69 % მას მიჰყიდოს.

## კოლოსკოვმა ბაირამობა 5 წლით გაიგრძელა

„დღეს რუსეთში დიდი ტრაგედია დატრიალდა — საბოლოოდ დასამარდა რუსული ფეხბურთი" — ამ სიტყვებით დაიწყო 8 დეკემბერს მოსკოვის „TV-6"-ის არხით სპორტული გადაცემა ცნობილმა ტელეკომენტატორმა ვლადიმირ უტკინმა. ასე გამოეხმაურნენ ჟურნალისტები ვიაჩესლავ კოლოსკოვის რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტად კიდევ 5 წლით გადარჩევას. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ფუნქციონერმა დიდი უპირატესობით გაიმარჯვა — მას 64-დან 52-მა დაუჭირა მხარი. კოლოსკოვის მთავარმა ოპონენტმა ნიკოლაი ტოლსტიხმა მხოლოდ 8 ხმა მიიღო, ოთხი კი პრეზიდენტობის სხვა კანდიდატებს შორის განაწილდა. შეგახსენებთ, ოპონენტები კოლოსკოვს ბრალს სდებენ კორუპციასა და თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში.

## ქალებს მხოლოდ ქალები უმსაჯებენ

**მაისად** 19 ივნისიდან 10 ივლისამდე ამერიკის შეერთებულ შტატებში უნდა გაიმართოს მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში ქალთა შორის.

ფიფას სამსაჯო კომისიის გადაწყვეტილებით, ციურიხში ჩატარებულ სხდომაზე დადგინდა, რომ ყველა მატჩს ამ ჩემპიონატში მხოლოდ ქალები უმსაჯებენ.

## პოლი კვლავ ნარკოლოგების ხელშია



*ბრიტანეთის საუკეთესო ნარკოლოგები ჩაებნენ ბრძოლაში ფეხბურთის ვარსკვლავის პოლ გასკოინის გადასარჩენად. კლინიკაში, სადაც პოლი იყო, პაციენტები ჯგუფებად არიან დაყოფილნი და ყოველი ავადმყოფი ვალდებულია აღსარებით წარსდგეს ამხანაგების წინაშე ალკოჰოლური ცოდვების გამო, რომ მთელი სიმძიმით შეიგრძნოს თავისი დაცემის სიღრმე. ცალკე ოთახში, სადაც გასკოინი მოათავსეს, იყო საძინებელი, აბაზანა ტუალეტით. საშინაო დავალებასავით უნდა ეწერა მემუარები, გაეხსენებინა, როდის რამდენი დალია. ტელევიზორში კი უჩვენებდნენ რა ზიანს აყენებს მის ჯანმრთელობას სასმელი. მაგრამ კლინიკა ჩარაზული არ იყო, და გასკოინმა, მკურნალობის შესვენებაში, სამი კვირის თავზე გამოიპარა.*

*მან დაარწმუნა „მიდლსბროს" ექიმებიცა და მწვრთნელებიც, რომ საფეხბურთო მატჩებში მონაწილეობა მასზე თერაპიულ ზეგავლენას მოახდენს, თუმცა კვირაში ორჯერ უნდა გამოჩენილიყო კლინიკაში, სადაც მას სასმელს გადააჩვევდნენ.*

*მაგრამ ექიმები სხვა პრობლემას წააწყდნენ — გასკოინმა უარი თქვა ჯანმრთელობისაკენ ნაბიჯის გადადგმაზე და ეღიარებინა თავისი ავადმყოფობა. იგი აცხადებს, რომ მას ის სიმპტომები არა აქვს, როგორიც სხვა პაციენტებს, და მას ნარკოლოგმა კი არა, ფსიქიატრმა უნდა უმკურნალოს.*

*— ორი კვირა ჩვენს კლინიკაში — ძალზე ცოტაა ალკოჰოლიზმის განსაკურნავად, — გააფრთხილა ინგლისის საუკეთესო საუთგემპტონის ჰოსპიტალის მმართველმა. — ჩვეულებრივ ამისათვის სულ ცოტა 28 დღეა საჭირო, გასკოინისათვის კი უკეთესი იქნებოდა ორი თვეც რომ დარჩენილიყო.*

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

# „ფორმულა 1"-ის რაინდები

## ფარინადან ჰაკინენამდე

დასაწყისი იხ. „ლელო" №96, 97

### ნიკი ლაუდა



1975, 1977 („ფერარი") და 1984 წლების მსოფლიო ჩემპიონი („მაკლარენი", „ტეაგე", „პორშე", „ტურბო"). დაიბადა 1949 წლის 22. II-ს ვენაში. 171 „გრან პრის" რბოლის მონაწილე, 25 გამარჯვება. გუნდები: „ბეერემი", „ბრაბჰამ — ალფა", „მაკ ლარენ — ფორდი". მძიმედ დაშავდა 1976 წლის ნურბურგრინგის რბოლის დროს. დღეს ავიაკომპანია „ლაუდა — გარ-ის" მფლობელია, მუშაობს ტელეკომენტატორადაც.



### ჯეიმს ჰუნტი

1976 წლის მსოფლიო ჩემპიონი („მაკლარენ — ფორდი"). დაიბადა 1947 წლის 29. VIII-ს სატონში (ინგლისი), გარდაიცვალა გულის ინფარქტით 1993 წლის 15.V1 ლონდონში. 92 „გრან-პრის" მონაწილე, 10 გამარჯვება. გუნდები: „მარჩ-ფორდი", „ჰესკეზ — ფორდი", „ვოლფ-ფორდი".

### მარიო ანდრეტი

1978 წლის მსოფლიო ჩემპიონი („ლოტუს — ფორდი"). დაიბადა 1940 წ-ის 28. II-ს მონტონაში (იტალია), 1955 წელს ოჯახთან ერთად ამერიკაში გაემგზავრა. 128 „გრან-პრის" რბოლა, 12 გამარჯვება.
გუნდები: „მარჩ-ფორდი, „ფერარი", „პარნელი-ფორდი", „ალფა-რომეო". 1982 წლიდან „ფორმულა 1-ში კარიერის დასრულების შემდეგ. 12 წლის განმავლობაში აქტიური იყო „ინდიქარ"-ში (52 გამარჯვება).





### ჯოდი შექტერი

1979 წლის მსოფლიო ჩემპიონი („ფერარი"). დაიბადა 1950 წლის 22. 1-ს ესტ-ლონდონში (სამხრეთ აფრიკა). 112 „გრან-პრის" მონაწილე, 10 გამარჯვება.
გუნდები: „მაკლარენ-ფორდი", „ტურელ-ფორდი", „ვოლფ-ფორდი". სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ საქმიანობდა აშშ-ში, ამჟამად ავტომრბოლების მენეჯერია ლონდონში.

### ალან ჯოუნსი

1980 წლის მსოფლიო ჩემპიონი, („ვილიამს-ფორდი"). დაიბადა 1946 წლის 2.XI-ს მელბურნში. (ავსტრალია). 116 გრან-პრის მონაწილე. 12 გამარჯვება.
გუნდები: „სერტის-ფორდი", „შედოუ-ფორდი", „ლოლა-ჰაასი", „ფორდ-ტურბო". ფლობდა ფერმას ავსტრალიაში. ამჟერად, ინგლისში ცხოვრობს.





### ნელსონ პიკუე

1981 („ბრაბჰამ—ფორდი"), 1983 („ბრაბჰამ-ბე-ემ-ვე-ტურბო") და 1987 („ვილიამს-ჰონდა-ტურბო") წლების მსოფლიო ჩემპიონი. დაიბადა 1952 წლის 17.VIII-ს რიოდე-ჟანეიროში. 204 „გრან-პრის" მონაწილე, 23 გამარჯვება.
გუნდები: „ბრაბჰამ-ალფა", „ბენეტონ—ფორდი". დღეს მსხვილი ბიზნესმენია.

### კეკე როზბერგი

1982 წლის მსოფლიო ჩემპიონი („ვილიამს-ფორდი"). დაიბადა 1948 წლის 6.XII-ს სტოკჰოლმში (წარმოშობით ფინელია). 114 „გრან-პრის" რბოლა, 5 გამარჯვება.
გუნდები: „ფიტიპალდი—ფორდი", „ვილიამს-ჰონდა-ტურბო", „მაკ ლარენ — ტეაგე-პორშე-ტურბო". დღეს თანამემამულე — მიკა ჰაკინენის მენეჯერია.



*გაგრძელება იქნება*

# ჩოგბურთშიც „ქალი უნდა ვეძიოთ“

სხვა ხალხებშიც საკმაოდ პოპულარულ ფრანგულ ანდაზას — „ყველაფერში ეძებეთ ქალი“ ხორცი შეასხა 24 წლის ბარსელონელმა ალექს კორეტჰამ, რომელმაც ჰანოვერში პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის (ატპ-ტურ) პირველი მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებულის სახელი დაისაკუთრა; საქმე ის იყო, რომ გადამწყვეტი შეხვედრის წინ ესპანეთის პრინცესამ დაურეკა და წარმატება უსურვა. მან ეს სამეფო კარის დავალებად მიიჩნია და ძნელ ორთაბრძოლაში გამოსტაცა გამარჯვება 22 წლის მაიორკელ კარლოს მოიას.

გთავაზობთ, ინტერვიუს ნაწილს, რომელიც მან ყოველკვირეულ „ნედელიას“ მისცა.

ოთხსაათამდე გაგრძელდა ფინალური ორთაბრძოლა და ორი წაგებული სეტის შემდეგ ალექსმა მაინც ხელიდან გამოსტაცა გამარჯვება მეტოქეს, თუმცა მათი ბრძოლის ბედი ხშირად ბეწვზე ეკიდა.

— „მუჩო მოია“, ასე შეხვდნენ გულშემატკივრები კორტიდან გამოსვლისას ჩემპიონს, რომელმაც გული არ დასწყვიტა მათ და უპასუხა — „მუჩო მოია“...

● ***მაინც რა გშველიდათ უიმედო სიტუაციებში, რომელშიც არაერთხელ აღმოჩნდით?***

— ის, რომ რაგინდ წარუმატებლად უნდა წარმართულიყო ჩემთვის თამაში, განვაგრძობდი ფიქრს, გამარჯვება ძალმიძს, მჯეროდა ეს. კარგად მახსოვს „როლან გაროსი-84“-ის ფინალი, როცა ლენდლმა, რომელსაც ჩოგბურთელის მაგალითად მივიჩნევ, შეძლო ორი სეტი მოეგო მაკინროისათვის, გარდატეხა კიდეც თამაში. ჩემს თავს ვუთხარი: გამონახე ძალა და იგივე შესძელ, ეს მოხდება მხოლოდ შენს თამაშზე განწყობით და არა მეტოქეზე ფიქრით.

● ***ამბობენ, ტურნირის მსვლელობისას სამშობლოში გაფრენილხართ?***

— სამწუხარო ვითარების გამო: ჩემს მწვრთნელს ხავიერ დუარტს მამა გარდაეცვალა. საერთოდ, ეს წელი დანაკარგებისა იყო, ერთმანეთს მიჰყვნენ ბიძა და დეიდა, რომლებიც ძალიან მიყვარდა. მათ გამო უფრო უნდა გამემარჯვა.

● ***მართალია, რომ ესპანეთის მეფემ დაგირეკათ?***

— მეფემ კი არა, მისმა ქალიშვილმა, პრინცესამ. დამირეკა დილით, წარმატება მისურვა, დამპირდა საღამოსაც დაგირეკავო.

● ***გამარჯვებამ ჰანოვერში მსოფლიო რეიტინგში მესამე ადგილზე აგიყვანათ, ამ საფეხურზე ამთავრებთ წელიწადს. სამომავლოდ რა მიზნებს ისახავთ?***

— ამ პოზიციაზე დარჩენას არ ვაპირებ, შევეცდები წინ წავიწიო. შეიძლება პირველ ნომერსაც გამოვკრა ხელი. მწვრთნელსა და მე ნათლად წარმოგვიდგენია, რის ხარჯზე შეიძლება თამაშის გაუმჯობესება: ეს ჯოჯოხეთური შავი სამუშაო იქნება.

● ***ორი კვირით ადრე მსოფლიო ჩემპიონი ვიდრე ამ ტიტულს მოიპოვებდა „კრემლის თასის“ გათამაშების მეორე წრიდან გავარდა, რით ახსნით ამას?***

— ამას ვერაფრით ახსნით, ვინაიდან მარტო ჩოგბურთელებმა იციან, რა არის ეს, როცა თამაში არ წაგივა. ახლობლებს, გულშემატკივრებს, პრესას აუხსნი განა... ჰკითხეთ კაფელნიკოვს, რით ახსნის მოიასთან დამარცხებას: ვეჭვობ, რომ ზუსტი პასუხი მოგცეთ, მოსკოვში გავიგე, კორეტჰა მხოლოდ გრუნტიან კორტზე თამაშობს კარგად, ამიტომაც არაფერია გასაკვირი. ჰანოვერში ალბათ ყველას დავუმტკიცე, რომ მარტო გრუნტიან საფარზე არ ვთამაშობ კარგად. იქნებ კვლავ მიმიწვიონ მოსკოვში?

* * *

კორეტჰას აღმასვლასთან ერთად ჰანოვერში კიდევ ერთი ნიშანდობლივი რამ მოხდა: პიტ სამპრასი პირველი ჩოგბურთელი გახდა, რომელიც ზედიზედ მეექვსე წელია მსოფლიოში პირველი ჩოგნის ტიტულით ამთავრებს ისეზონს, რითაც ჯიმი კონორსის რეკორდი გააუმჯობესა.



მსოფლიოს ახალი ჩემპიონი ჩოგბურთში ალექს კორეტჰა

საქართველოს ფრენბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი კალათბურთელი, საქართველოს ნაკრების წევრი და კაპიტანი, სპორტის ოსტატი

დოდო აბუაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს და დას ციცო აბუაშვილს.

საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია თანაუგრძნობს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სპორტკლუბის თავმჯდომარეს, სპორტსმენთა მომზადების ცენტრის დეკანს, ისტორიის ფაკულტეტის დოცენტს ოთარ მიმინოშვილს დედის გარდაცვალების გამო.

საქართველოს ფარიკაობის ფედერაცია ღრმა სამძიმარს უცხადებს ვეტერან მოფარიკავეს სპორტის ოსტატ ტარიელ გოგოლაძეს შვილის

შოთა გოგოლაძის

ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

პანაშვიდი 11 და 12 XII 15 სთ.
გამოსვენება 13 XII, 14 სთ.
მისამართი ქავთარაძის, 25, II კორპ.

## რა ხდება ქვეყანაზე

## მალე მოწმობას აიღებს და მანქანებს დააჭაშნიკებს

მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ჩოგბურთელ ქალს, შვეიცარიელ მარტინა ჰინგისს არასოდეს დაავიწყდება წლევანდელი წლის 30 სექტემბერი. ნუ დაიწყებთ ძველი გაზეთების ქექვას — ამ დღეს მას მორიგი ტურნირი არ მოუგია, უბრალოდ, 18-ისა გახდა და ქვეყნის კანონებით უკვე შეუძლია ჩააბაროს გამოცდები ავტომობილის მართვის უფლების მისაღებად. იტყობინებიან, რომ მარტინამ კარგად შეისწავლა საგზაო მოძრაობის წესები, გასულ კვირას კი ინსტრუქტორთან ერთად მანქანით ქუჩაში დადიოდა. ჰინგისი მოუთმენლად ელის გამოცდებს: მის ავტოფარეხში ხომ ერთდროულად სამი ახალთახალი მანქანა დგას — ორი „პორშე“ მან მიიღო შარშანწინ და შარშან გერმანიის ქალაქ ფილდერშტადტის ტურნირებში გამარჯვებისათვის, ხოლო „ოპელტიგრა“ ჩოგბურთელს სპონსორებმა უბოძეს სრულწლოვანი რომ გახდა, იმ დღის აღსანიშნავად.



მარტინა ჰინგისი მე-19 წელიწადშია...

## პროფესიონალები და... ლოტობა?!

19-20 დეკემბერს სანკტ-პეტერბურგში გაიმართება საერთაშორისო ტურნირი კალათბურთში ალექსანდრ ბელოვის თასზე. ამ ასპარეზობაში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადეს სახელგანთქმულმა ამერიკელმა პროფესიონალებმაც — კარიმ აბდულ-ჯაბარმა, ტომ ჩამბერსმა, უოლტერ დევისმა, ელტონ ლისტერმა და სხვებმა. ცნობილი გახდა, რომ ნბა-ს ყოფილი ვარსკვლავები რუსეთში გასამრჯელოს გარეშე ითამაშებენ, ესაა მხოლოდ, რომ სასტუმროში სპორტსმენებს მაცივარში ყოველდღე 5-5 ბოთლ არაყს დაუდგამენ, ხოლო სამშობლოში გამგზავრებისას ამ სასმელით გატენილ 10-10 ყუთსაც გაატანენ.

## კავალერისტი დაშავდა, ცხენი გადარჩა

კავალერიის თანხლებით ბრიტანეთის დედოფლისა და მაღალი სტუმრის გაცილება უინძორის სასახლისკენ საუკუნოვანი ტრადიციაა. ამ დღეებში დედოფალს გერმანიის პრეზიდენტი სტუმრობდა და სასახლისკენ მიმავალ გზაზე კურიოზი მოხდა — ერთ-ერთი კავალერისტის ცხენი უეცრად დედოფლის ავტომანქანასთან, ორჯერ შედგა ყალყზე და მხედარმა ქვაფენილზე მოადინა ზღართანი. ნირწამხდარმა დედოფალმა, შერცხვენილი კავალერისტი საავადმყოფოში მოიკითხა და მალე გამოჯანმრთელება უსურვა. ცხენი არ დაშავებულა.

## ზოგი ჭირიო...

ნბა-ს გაფიცული კალათბურთელები, რომელთა საშუალო შემოსავალი 2,6 მილიონი დოლარია და მომატებას ითხოვენ, მთელ თვეს გულხელდაკრეფილნი არ მჯდარან და წარმოიდგინეთ, ბევრმა მათგანმა სხვა პროფესიაშიც სცადა ბედი. კერძოდ, მომქანცველ მატჩებს გარიდებულნი ხელოვნებას ეწევიან და არც თუ უშედეგოდ. ბევრი ისე გაიტაცა მან, რომ კალათბურთს შეიძლება აღარც დაუბრუნდეს. მაგალითად, შაკ ო'ნილმა უკვე თავისი სიმღერების მესამე დისკი გამოუშვა. იგი თავდავიწყებით ასრულებს ტელევიზიაში რეპს და კიდევ ჰოლივუდის პროდიუსერებს სთხოვს, რომ მას ფილმ „ტერმინატორი“-3“-ში არნოლდ შვარცენეგერის პარტნიორის როლი მისცენ. აი, ყველაზე ჩხუბისთავმა კალათბურთელთა შორის დენის როდმანმა კი გაფიცვის დღეებში მოასწრო ეთამაშა ბოევიკში — ინტერპოლის ეგზოტიკური აგენტის როლი შეასრულა, რომელიც ათავისუფლებს მეგობრის მოტაცებულ ქალიშვილს. გადაღება საფრანგეთის რივიერაზე მიმდინარეობდა.

„საკრამენტო კინგსის“ ფორვარდმა კრის უებერმა კი მიიღო როლი ფილმში — „ნიუ-იორკელი აგენტი საფარველქვეშ“, მისი თანაგუნდელები კი მოდურ „ჰიპ-ჰოპ“ სტილის საცეკვაო ჯგუფებში გაიფანტნენ. 200 გაფიცულმა კალათბურთელმა ლასვეგასის სუპერძვირფას ოტელში გამართა ყრილობა, სადაც კიდევ ერთხელ მოთქვამდნენ უსამართლო ექსპლოატაციაზე. ჯერ გაურკვეველია დათანხმდებიან თუ არა ისინი ნბა-ს ხელმძღვანელობას, რომელიც მათ მარეხუანას მოწევას უკრძალავს.

თუ წლის ბოლომდე ვერ შეთანხმდებიან ნბა-ს კალათბურთელები თავიანთი კლუბების მფლობელებთან და ლოკაუტი არ შეწყდება, კონფლიქტის „ფასი“, ე.ი. ზარალი მარტო ნიუ-იორკში ჩაშლილი მატჩებისა, უკვე 53 მილიონს შეადგენს, რომელიც წლის ბოლომდე 70 მილიონამდე გაიზრდება. და თუ 1998-1999 წლების სეზონის ჩავარდნაც მოჰყვა გაფიცვას, ზარალი ფანტასტიკურ თანხას — 236 მილიონ დოლარს მიაღწევს.

## აზიური თამაშები

## 52 მილიონ დოლარს მოიტანს

აზიის XIII თამაშების ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ ეს შეჯიბრება, რომელიც ახლა ბანგკოკში მიმდინარეობს, ტაილანდს, როგორც მინიმუმს, 52 მილიონ დოლარ მოგებას მოუტანს. თამაშები, 20 დეკემბრამდე გასტანს, ეს ხანა კი ქვეყანაში ტურისტული სეზონის მწვერვალს ემთხვევა. ეს თანხა ტაილანდს ძალიან გამოადგება, მან ხომ დიდ ეკონომიკურ კრიზისში ბევრი დაკარგა.

გრძელდება ხელმოწერა 1999 წლისათვის

გამოიწერეთ ლელო









**თარაზულად:** „ლაციოს“ თავდამსხმელი, ახლო წარსულში „სკუადრა აძურას“ წევრი, 7. ცნობილი ქართველი წყალმოთხილამურე, 8. გრძელ დისტანციაზე მორბენალი, 11. წარსულში კიევის „დინამოსა“ და ლანჩხუთის „გურიას“ ფეხბურთელი. 12.70-იანი წლების ცნობილი მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელი, 13. ნორვეგიის საფეხბურთო კლუბი, 16 ლატვიის საფეხბურთო კლუბი, 17. რუსეთის საფეხბურთო კლუბი, 21. ცნობილი ხორვატი საფეხბურთო მწვრთნელი *(ფოტო)*, 22. „ფიორენტინას“ მცველი, 23. ნბა-ს ლოსანჯელესელი ვარსკვლავი, 26. ოლიმპიური მოძრაობის ფუძემდებელი, 27. 50-იან წლებში მოსკოვის „სპარტაკის“ მეკარე, 28. ცნობილი შვეიცარიელი ჩოგბურთელი ქალი.

**შვეულად:** 1. საქართველოს საფეხბურთო ნაკრების თავდამსხმელი, 2. ახლო წარსულში შვეიცარიის საფეხბურთო ნაკრების ფორვარდი *(ფოტო)*, 3. სპორტის სახეობა, 4. ზაზა ჯანაშიას მწვრთნელი, 6. ცნობილი ბულგარელი საფეხბურთო მწვრთნელი, 9. ხორვატიის ნაკრების ფეხბურთელი *(ფოტო)*, 10. რომელი ქვეყნის ღირსებას იცავდა მარადონა, 14. წარსულში ცნობილი ფრანგი საფეხბურთო მსაჯი, 15. ქართველი ფეხბურთელი, მცველი, 18. ბულგარეთის საფეხბურთო ნაკრების მცველი, 19. ჩეხეთისა და ჰოლანდიის საფეხბურთო კლუბი, 20. ესპანეთის საფეხბურთო ნაკრების თავდამსხმელი, 25. მოგზაურობის ცალკეული მონაკვეთი, 25. ოქროს საზომი ერთეული.

## საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი (თბილისი)



შამათი 2 სვლაში

**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:**

1. ეc1!

1. ...მფ:d5 2. კf5 მფe5 3. ეc5X.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 5. შამუგია, 7. ბლატერი, 8. დერიუგინი, 11. დვირი, 14. კროლი, 15. ბასლერი, 16. ლატარია, 17. ბროლინი, 20. სკუდეტო, 22. ვიერი, 23. გვიდო, 26. ბულგარელი, 27. მაზინიო, 28. სამპაიო. **შვეულად:** 1. კალოევი, 2. შირეა, 3. ბლანი 4. ბრიგელი, 6. ბრუმელი, 9. ბრაიტნერი, 10. კრუტიკოვი, 12. შავეიკო, 13. „არარატი“, 18. „უდინეზე“, 19. „ციბონა“, 21. ადლერი, 24. ბუტი, 25. „ალგა“.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელო“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ ხიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდამიძე